ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 20 დეკემბერი, 2021 №240 (8769) ფასი: 60 თეთრი

## ნუცუბიძეზე 17 წლის ბიჭის დაჭრისთვის ნიკა თოიძე პოლიციას ჩაბარდა



გვ.3

# გენშტაბის ყოფილი უფროსი გიგი კალანდაძე ბერლინში დააკავეს



გვ.2

რა დგას ქართველი გენერლის დაკავების უკან

## „ივანიშვილს წულუკიანი კორუფციულ-სქემურ ხლართებში ჰყავს"



გვ.4

თაკო ჩარკვიანი: „ტიკარაძის პრემიერად დანიშვნა წლის ანეკდოტია"

## „ქართული ოცნება" ფრთხილად იყოს, ამერიკა სანქციების ამოქმედებას იწყებს!"



გვ.2

გიორგი ვაშაძე: „21 დეკემბრის აქციაში ჩვენ არ ვმონაწილეობთ"



გვ.2

## „ტიკარაძემ გენოციდი მოგვიწყო!"

ვატო სურგულაძე: „თამარ გაბუნია სერგეენკოს კადრია, ეგ ტიკარაძეზე უარესი მინისტრი იქნება"

## „ნაციონალები სხვისი ხელით აკეთებენ საქმეს"

გიგლა ბარამიძე: „რაც მეტ ხალხს შეხვდება პრეზიდენტი, მით მეტად გაეცნობა არსებულ ვითარებას"



გვ.3



გვ.4

## „პრეზიდენტის პოზიცია სწორია, „ქართულ ოცნებას" არ შეუთანხმა შერიგების იდეა"

ლევან ალაფიშვილი: „ამომრჩეველი ვიწროპარტიულ ინტერესებს აღარავის აპატიებს"



## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ არავის დავუხრით თავს, არც არავის ვუყურებთ ზემოდან, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა..."

გვ.5

ISSN 1987-9385

**5** არასრულწლოვნის გაუპატიურება უვადო პატიმრობით დაისჯება

**3** ნათია თურნავა წლის ბოლომდე თანამდებობას დატოვებს

**5** ქურდულ სამყაროსთან კავშირის ბრალდებით 5 პირი დააკავეს

**6** პოლონელი ჯარისკაცი ბელარუსში გაიქცა

# „ქართული ოცნება“ ფრთხილად იყოს, ამერიკა სანქციების ამოქმედებას იწყებს!“

## გიორგი ვაშაძე: „21 დეკემბრის აქციაში ჩვენ არ ვმონაწილეობთ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.**



***– ბატონო გიორგი, ბოლო პერიოდია აქტიურად საუბრობს პოლიტიკური სპექტრი შერიგებაზე. რამდენად სერიოზულად უყურებთ იმ ფორმატს, რომელიც პრეზიდენტმა წამოიწყო? რას იტყვით ამ პროცესთან დაკავშირებით?***

– პირველ რიგში, ეს არ არის რამე კონკრეტული ფორმატი. უფრო სიმბოლურად დაფიქსირება იყო მზაობის. მათ შორის ჩვენი მხრიდან, როცა მივიღეთ მონაწილეობა ამ პირველ ღონისძიებაში. ვნახოთ, შემდგომ როგორ გაგრძელდება, ჯერჯერობით დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა, განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ პოზიცია, რომელსაც არანაირი სურვილი არა აქვს ამ შეთანხმების. არანაირ შერიგებაზე არაა საუბარი, უბრალოდ საუბარია, რომ რაღაც შეთანხმება მოხდეს. დიდად იმედიანად არ ვარ და ასე მოკლე ვადაში რაიმე კონკრეტულ შედეგებს არ ველოდები.

***– თან შერიგებაზე საუბრობენ და თან აქციებს აანონსებენ. ნაცმოძრაობა 21 დეკემბერს ისევ საპროტესტო აქციას აანონსებს და კვლავ იმუქრება. ასე გამოვა რამე? თან შერიგება უნდათ და თან საპროტესტო აქციებით იმუქრებიან?***

– იმუქრებიან რა, ისინი პროტესტს გამოხატავენ. რა, დაიწყო რამე პროცესი შერიგებისკენ თუ შეთანხმებისკენ თუ რაა?! როგორც „ქართული ოცნება“ გვემუქრება, ისე ნაციონალური მოძრაობა, თავისი ძალის დემონსტრირებას ახდენს ამ შემთხვევაში. ჯერჯერობით არანაირი პროცესი არ დაწყებულა, ეს ხომ ფაქტია. რა იქნება 21 დეკემბერს? იქნება ჩვეულებრივი აქცია, რაღაცა განსაკუთრებულს არ ველოდები.

***– მხოლოდ ნაციონალები მართავენ ამ აქციას თუ პატარა ოპოზიციური პარტიებიც უერთდებით?***

– მე არ ვღებულობ მონაწილეობას, არ ვიქნები საქართველოში. თუმცა ჩვენი პარტიიდან თუ ვინმეს ექნება სურვილი, ინდივიდუალურად შეუძლია მივიდეს.

***– პარლამენტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რას იტყვით? ვხედავთ, რომ აღარც საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა არ მიმდინარეობს. ნაციონალები ამ პროცესში არ მონაწილეობენ. მარტო პატარა პარტიები „ოცნების“ პირისპირ რას შეძლებთ?***

– ჯერჯერობით მხოლოდ ერთი შეხვედრა გვქონდა, სადაც მოვთელეთ ჩვენი პოზიციები, პარლამენტის სასესიო მუშაობა დამთავრდა და თებერვალში დავუბრუნდებით პარლამენტს. ამიტომ დროებით შეჩერებულია ეს პროცესი. ჩვენ ამ თვენახევრიან პაუზას გამოვიყენებთ საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურობისთვის. ვფიქრობთ, რომ საერთაშორისო წნეხი ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ „ქართული ოცნება“ ვაიძულოთ, საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღოს.

***– ფიქრობთ, რომ ხელისუფლება უკან იხევს და არ უნდა ცვლილებების მიღება?***

– მას არ უნდა თუნდაც 2024 წლისთვის ბარიერის დაწევა. ფიქრობს, რომ ხელისუფლების შენარჩუნების ბერკეტი შეიძლება იყოს მაღალი ბარიერი. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს დღეის მდგომარეობით „ქართული ოცნება“. ის ამაზე ხმამაღლა არ საუბრობს, ვფიქრობ, მისი გათვლაა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ რაღაც კონფიგურაციაში მხარი არ დაუჭიროს და მერე ისევ ხელი გაიშვიროს ნაციონალური მოძრაობისკენ.

***– ეს სიტუაცია ნაციონალურ მოძრაობასაც აწყობს, რადგან ორპოლუსიანობა შენარჩუნდება და ისევ ეს ორი პარტია გადაინაწილებს ძირითად მანდატებსო. ასეა? რამდენად უწყობენ ხელს ერთმანეთს?***

– მე ვფიქრობ იმას, რომ მხოლოდ ორი პარტია არ შევა და შეიცვლება ბევრი რამ ამ პერიოდში. დიახ, ამაში გეთანხმებით, ორპოლუსიანობის მთავარი აქტორები არიან „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ჩვენ წინასაარჩევნოდ ვაფრთხილებდით ამომრჩეველს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრმა არ მოგვისმინა. დღეს კი ძალიან მძიმე ვითარებაში ვართ. ოპოზიცია არ არის მხოლოდ ერთი პარტია და მე ვფიქრობ, საზოგადოებაც უნდა დაფიქრდეს ამაზე. დროა სწორი არჩევანი გაკეთდეს.

***– თქვენ საერთაშორისო წნეხზე საუბრობდით, თუმც ვისმენთ შეფასებებს, რომ ბოლო პერიოდში მწვავე და რადიკალური განცხადებებით არ გამოირჩევა დასავლეთიო. რატომ, რა შეიცვალა?***

– რა გითხრათ, სიმძაფრის დაკლებას მე ვერ ვხედავ ვერც ამერიკის ელჩისა და ვერც ევროკავშირის თუ ნატოს გენერალური მდივნის განცხადებებში. თუ ვინმეს ეჩვენება, რომ ნაკლებია სიმწვავე, ვფიქრობ, რომ ძალიან ცდება. მომავალი წლიდან ბევრი რამ დაიძვრება. უკრაინაში შეიქმნა საინტერესო პრეცედენტი, როცა ამერიკამ სანქციები დაადო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს. ასეთი პრეცედენტი აქამდე ამ რეგიონში არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ფრთხილად უნდა იყოს „ქართული ოცნება“. შესაძლოა იგივე განმეორდეს აქაც.

# გენშტაბის ყოფილი უფროსი გიგი კალანდაძე ბერლინში დააკავეს

## რა დგას ქართველი გენერლის დაკავების უკან

გენერალი გიგი კალანდაძე დააკავეს. „პირველების“ ინფორმაციით, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი გერმანიაში საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით აიყვანეს.

გიგი კალანდაძე აგვისტოს ომის დროს მეოთხე ბრიგადას ხელმძღვანელობდა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი საცხოვრებლად უკრაინაში გადავიდა.

კალანდაძესთან დაახლოებული პირი, გიორგი კასრაძე „პირველებთან“ ამბობს, რომ კალანდაძე პატრიოტია და მის დაკავებაში შესაძლოა, რუსეთის ხელი ერიოს.

– არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, ბოლოს გიგისთან ერთი-ორი თვის წინ მქონდა საუბარი. ვიცი, რომ უკრაინაში მუშაობს, დაგეგმარების მიმართულებით იყო ფონდის და რა ვიცი, რატომ უნდა დაეკავებინათ, მიზეზიც არ ვიცი, პატრიოტი და მებრძოლი ადამიანია და, გარდა რუსული ძალების, მას მტერი ვინ უნდა ჰყავდეს, არ ვიცი, – განაცხადა კასრაძემ.

გენერალი გიგი კალანდაძე გერმანიაში სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით დააკავეს. ის უკრაინაში ბრუნდებოდა, სადაც წლების წინ გადასახლდა. დაკავების მომენტში მას თან მეუღლე და შვილი ახლდნენ.

მომხდარზე კომენტარი გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა.

„საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით, ბერლინში დააკავეს საქართველოს გენშტაბის ყოფილი უფროსი გიგი კალანდაძე. ის არის 2008 წლის ომის გმირი. მაშინ მე-4 ბრიგადის ჯგუფმა, რომელსაც ის მეთაურობდა, შეაჩერა რუსეთის ტანკების მოწინავე დამრტყმელი ძალა და ამ ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა რუსეთის 58-ე არმიის მეთაური გენერალი ხრულოვი.

უკრაინაში ომის დაწყებისთანავე გიგი აქტიურად ჩაერთო საბრძოლო მოქმედებებში. მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს გაღებული მტრის შეტევის შეჩერებაში აღმოსავლეთის ფრონტზე. სწორედ ამის მერე საქმეც აღიძრა. რამდენადაც ვიცი, გენერალი კალანდაძე უკრაინის მოქალაქეა და ასევე, მას უკავია თანამდებობა უკრაინის ეროვნულ გვარდიაში.

სირცხვილია, რომ საქართველოს ხელისუფლება სწორედ რუსეთის მთავარ მტრებს უქმნის პრობლემებს მსოფლიოს მასშტაბით. დარწმუნებული ვარ, გერმანიის პროკურატურა და სასამართლო სწრაფად გაერკვევიან დაკავების მოთხოვნის დაუსაბუთებლობაში და გიგი ძალიან სწრაფად გათავისუფლდება და მას ბოდიშსაც მოუხდიან. გერმანიის სასამართლო მურუსიძის კანტორა არავის ეგონოს. უბრალოდ, საქართველოს ხელისუფლება მორიგ ჯერზე იჭრის თავს!“ – დაწერა სააკაშვილმა ფეისბუქში.



ძალოვანი უწყების ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფებიან, კალანდაძის დაკავების უკან რუსეთის დაკვეთას ხედავენ.

ყოფილი სამხედრო დავით მაყიშვილი ირწმუნება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყოფილი მებრძოლების პირადი ინფორმაცია რუსეთს არაერთხელ გადასცა.

– გენერალი კალანდაძე დააკავეს ბერლინში, უკვე უკრაინაში გამოფრენის დროს გერმანელმა სამართალდამცველებმა. არ განუმარტეს ოჯახის წევრებს, რის საფუძველზე დააკავეს. თუ საქართველოს მოთხოვნით არის დაკავებული გენერალი კალანდაძე გერმანიის სამართალდამცველების მიერ, ეს არის რუსეთის შეკვეთა, იმიტომ, რომ გიორგი კალანდაძე 2008 წლის ომის დროს იყო მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური. მისმა ქვედანაყოფმა საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის 58-ე არმიას. საქართველოს მთავრობამ გადასცა რუსეთის სპეცსამსახურებს არაერთხელ ინფორმაცია ჩვენზე, ჩვენი პირადი მონაცემები, – თქვა „პირველებთან“ დავით მაყიშვილმა.

რუსული სპეცსამსახურების დაკვეთის აღსრულებად მიიჩნევს მომხდარს კიდევ ერთი ყოფილი სამხედრო, მერაბ კიკაბიძე.

– არანაირი დანაშაული გიგი კალანდაძეს არ მიუძღვის. მისი დანაშაული ერთი ის არის, რომ იბრძოდა რუსეთის, აგრესორის წინააღმდეგ, მეტი დანაშაული მას არ გააჩნია. თუ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას აქვს გაგზავნილი, მასზე მოთხოვნა მისი დაკავების შესახებ, ეგეც იმ რუსული სპეცსამსახურების დავალების აღსრულებაა და მეტი არაფერი, – თქვა მერაბ კიკაბიძემ.

# „ტიკარაძემ გენოციდი მოგვიწყო!“

## ვატო სურგულაძე: „თამარ გაბუნია სერგეენკოს კადრია, ეგ ტიკარაძეზე უარესი მინისტრი იქნება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.**

***– ბატონო ვატო, თქვენთვისაც ცნობილია თუ რა მდგომარეობაა დღეს ჯანდაცვის სისტემაში. ჯანდაცვის მინისტრი თან გვყავს, თან – არა. გადავდექი, მაგრამ ჯერ არ მივდივარო. რა ხდება საერთოდ?***

– აი ასეთი გაუგებარი სიტუაცია გვაქვს. როდესაც გამოვა მინისტრი და განცხადებას გააკეთებს, გადავდექიო, მაშინ უნდა წავიდეს და არა ისე, რომ წლის ბოლომდე ისევ მე ვმართავ ჯანდაცვის სისტემასო. ის უნდა გადადგეს და მის მოვალეობას უნდა ასრულებდეს პირველი მოადგილე. წავედი, მაგრამ წლის ბოლომდე ისევ აქ ვრჩები, ჩემი აზრით, ცოტა არასერიოზულია.

***– ვისაც კი შესთავაზეს, ყველამ უარი თქვა ჯანდაცვის მინისტრობაზე, ვერავინ დაითანხმეს და ახლა თამარ გაბუნიასთან მიდის მოლაპარაკებები და ის დაინიშნებაო. ამაზე რა ინფორმაცია გაქვთ?***

– ამ ქვეყანაში ყველაფერი შესაძლებელია. ტიკარაძე გვყავდა ჯანდაცვის მინისტრი და მეტი რაღა უნდა მოხდეს. ახლა ვრცელდება ინფორმაციები, რომ პრემიერი უნდა გახდესო და საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?! ეს სრული კატასტროფა იქნება.

***– ძალიან აუწია ხმის ტემპს ტიკარაძემ და მართლა პრემიერად ხომ არ ნიშნავენ?***

– ეს არის ქალბატონი, რომელმაც გენოციდი გამოიწვია ამ ქვეყანაში, განა მიზანმიმართულად, უბრალოდ, თავის უცოდინრობით. მისი მმართველობის დროს ამდენი ხალხი დაიღუპა. თუმცა მას რომ მოვუსმინოთ, ისეთი აწყობილი სისტემა გვაქვს კოვიდის მიმართებით, რომ მას მართვაც არ სჭირდება, სისტემა თვითონ მუშაობს. სრულ აბსურდში ვართ, ასე რომ, აღარაფერი გამიკვირდება. ამიტომ, ვის დანიშნავენ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ჯერ ერთი, უარის თქმა ქოცებთან არ მოსულა, პარტიამ გითხრა, უნდა შეასრულო. დაინიშნება ისეთი კადრი, რომელიც სრულად ლოიალური იქნება ამ მთავრობის მიმართ.

***– თამარ გაბუნიას კანდიდატურაზე რას ფიქრობთ? ასევე მის კორუმპირებულობაზეც ალაპარაკდნენ.***

– თამან გაბუნია ძალიან სუსტი კანდიდატურაა. მის კორუმპირებულობაზე ვერაფერს გეტყვით, მე არ მიყვარს ასე ზეპირი განცხადებების კეთება. ამ ყველაფერს დასაბუთება სჭირდება. თუმცა თამარ გაბუნია იქნება საკმაოდ ცუდი მინისტრი, ტიკარაძეზე უარესი. იმის მიუხედავად, რომ ტიკარაძეზე მეტი ცოდნა აქვს, ნასწავლია, უცხოეთში ნამუშევარია, აქვს რაღაცა გამოცდილება, მაგრამ ყველას არ შეუძლია მინისტრობა. მინისტრობას სხვანაირი უნარ-ჩვევები, თვისებები და ცოდნა სჭირდება.

***– უშუალოდ ამირან გამყრელიძე აწარმოებს თამარ გაბუნიასთან მოლაპარაკებებს, მისი კადრიაო.***

– არა, ამირან გამყრელიძის კადრი არ არის, გაბუნია არის დავით სერგეენკოს კადრი. თავის დროზე მოიყვანეს სხვა მიზეზების გამო. ახლა არ მინდა ამაზე საუბარი. არა მგონია ვინმესთან მოლაპარაკებები დასჭირდეს „ოცნებას“. შეუკვეთავს ბატონი ბიძინა, მერე პრემიერ-მინისტრი დაუძახებს, შენ უნდა იყო ჯანდაცვის



მინისტრიო და ეგაა, არ სჭირდება ამას მოლაპარაკებები და კონსულტაციები. ამ შემთხვევაში ამის არ მჯერა, ეს ჭორებია.

***– არჩილ თალაკვაძეზეც იყო საუბარი, მაგრამ უარი თქვაო. ესეც ჭორია?***

– არჩილ თალაკვაძე ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად მესახება მათ შორის, ვინც კი დასახელდა. თუმცა, შესაძლოა, სულაც ისეთი ადამიანი დანიშნონ, საერთოდ ვერავის ვერ წარმოგვიდგენია. ეს ქვეყანა ზუსტად იმითაა გამორჩეული, რომ არავითარ პროგნოზს და ლოგიკას არ ექვემდებარება.

***– ცუდი მემკვიდრეობა დახვდება ახალ მინისტრს?***

– ძალიან ცუდი. სრულად ჩამოშლილი სისტემა, ძალიან სუსტი საკადრო გუნდი, ძალიან მძიმე სიტუაცია გვაქვს ამ მხრივ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალები სხვისი ხელით აკეთებენ საქმეს“

## გიგლა ბარამიძე: „რაც მეტ ხალხს შეხვდება პრეზიდენტი, მით მეტად გაეცნობა არსებულ ვითარებას“

მარიამ მჭედლიშვილი

**პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ ეროვნულ თანხმობა-შერიგებასა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკოსს, გიგლა ბარამიძეს.**



***– სალომე ზურაბიშვილის მიერ ინიცირებული ეროვნული თანხმობის, შერიგების პროცესი, ფაქტობრივად, დაიძრა. იმართება შეხვედრები ამ ეგიდით. როგორც ვიცი, თქვენ ამას სკეპტიკურად უყურებთ?***

– სანამ სალომე ზურაბიშვილი ამ იდეას საახალწლო ნაძვის ხის მილებაზე გაახმოვანებდა, მანამდე ერთი კვირით ადრე მივმართე პრეზიდენტს. იქ ჩამოვაყალიბე ძირითადი პოსტულატები. არ ვაზუსტებ პროცესის სახელს – შერიგებაა, თანხმობა თუ პოლარიზაციის დასრულება, ამას მნიშვნელობა არა აქვს. საერთო-ეროვნულ შერიგებას დაკონკრეტება სჭირდება.

***– კითხვები კვლავინდებურად გაქვთ?***

– ცხადია. ეს პროცესი არ უნდა გახდეს ინდულგენცია რომელიმე პოლიტიკური პარტიის და ლიდერისთვის. ვსაუბრობ ნაციონალურ მოძრაობაზე, რომელიც ჩემთვის არის სისხლიანი სექტა და სააკაშვილზე, რომელმაც ბევრი მძიმე დანაშაული ჩაიდინა და კანონით პასუხი უნდა აგოს. მით უმეტეს, ამ ინიციატივამ ხელი არ უნდა შეუწყოს ნაცსექტისა და სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნებას. გვითხრან, ვისთან გვარიგებენ?! თუ სააკაშვილთან და მეგის ქარდავასთან გვარიგებენ, ეს არის ამორფული და აბსურდული მოვლენა. საზოგადოებას ეს ნამდვილად არ უნდა. ეს ხალხის მოთხოვნა არ ყოფილა, არ არის და არც იქნება. თუ მეორე ეტაპზე ის უნდათ, რომ ხელისუფლებაში დააბრუნონ ნაცმოძრაობა, ეს საგანგაშოა და მაშინ ჩვენი სახელით ნუ ილაპარაკებენ. სააკაშვილის რეჟიმის მიერ დაზარალებული და დევნილი ადამიანები ცოცხლები არიან. იმ დროს იყო 300.000 პრობაციონერი. თუ ამ პროცესის საბოლოო მიზანი არის ნაცსექტის გათეთრება და ხელისუფლებაში მოყვანა, მაშინ ეს ყოფილა თავსმოხვეული სპეცოპერაცია საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ.

***– პოლარიზაციის შემცირება არ შეიძლება იყოს მიზანი?***

– პოლარიზაცია ხელოვნურია. რომ იყოს სამოქალაქო ომი, მაშინ სხვა სიტუაცია იქნებოდა. შევარდნაძესაც უნდოდა შერიგება. 1998 წელს იდგა ეს საკითხი. არ იყო ისეთი დაპირისპირება, რომ ეს საჭირო გამხდარიყო. ახლა მით უმეტეს, არ არის ისეთი ვითარება, რომ შერიგება იყოს აუცილებელი. პოლარიზაციაზე აქცენტის გადატანა დაიწყეს ევროპელებმა დაახლოებით ერთი თვის წინ. უფრო ზუსტად, ეს წამოვიდა ნაციონალური მოძრაობის ევროპელი ლობისტებისგან, დაფინანსებული პირებისგან. ისინი სათქმელის გაცხადებას პირდაპირ ვერ ბედავენ და შემოვლითი გზებით ცდილობენ მიზნის მიღწევას. პოლიტიკური ბრძოლა, კამათი და დებატები დამახასიათებელია ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოებისთვის. საქართველოშიც ეს არის და არა პოლარიზაცია.

***– პრეზიდენტს რა ამოცანა ამოძრავებს?***

– ძნელი სათქმელია. ძალიან გამიკვირდა, როცა მან თავისი გამოსვლა დემოკრატიის საერთაშორისო სამიტზე ააგო შერიგების თემაზე. შეგიძლიათ ჰკითხოთ საზოგადოებას, არის თუ არა ეს საკითხი პრიორიტეტული. ეს არ არის საზოგადოების დაკვეთა. არ მინდა ეს პროცესი დაემსგავსოს მიშელის ე. წ. შეთანხმებას. ნაციონალებმა იმ პროცესიდან მიიღეს ის, რაც უნდოდათ.

***– ნაცმოძრაობას იმ დოკუმენტისთვის თავიდან ხელი არ მოუწერია.***

– მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ვისი გამოშვებაც უნდოდათ ციხიდან, გამოაშვებინეს. იმ მომენტში ისე სჭირდებოდათ, რომ ხელი არ მოეწერათ შეთანხმებისთვის. სამაგიეროდ, მერე შეუერთდნენ. ბევრ რამეს სხვისი ხელით აკეთებენ. იფიცებოდნენ, პარლამენტში ფეხს არ შევადგამთო, მაინც შევიდნენ. როცა ნაციონალურ მოძრაობას სისხლიან სექტას ვუწოდებ, თქვენ, ჟურნალისტებს, არ გეკეკლუცებით. ეს მართლაც არის სისხლიანი სექტა. როცა ვამბობ, რომ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი ხელისუფლებაში არ უნდა დაბრუნდეს, ვახმოვანებ უამრავი ადამიანის აზრს. სააკაშვილმა ქვეყნის წინაშე ჩაიდინა უმძიმესი დანაშაულები. 6-წლიანი პატიმრობა მისთვის ცოტაა. ესეც არ უნდა, რომ მოიხადოს. სააკაშვილის უკიდეგანო უტიფრობა გამაოგნებელია. ჯერ ერთი, როგორ ადარებს თავს გმირ ნელსონ მანდელას, რომელმაც 27 წელიწადი გაატარა საპყრობილეში! სააკაშვილმა სამარტოო საკანში 27 დღე ვერ გაძლო და დედიკოებისა და ბაბუკოების საზოგადოება მოითხოვა. თან იმყოფება სასათბურე პირობებში.

***– ექიმების რეკომენდაციაა, რომ ხშირად მარტო არ იყოს.***

– ახლა დაემართა ფსიქოლოგიური კრიზისი? ესეც საარაკო უტიფრობაა. ფსიქოლოგიური კრიზისი და დეპრესია ადრე უნდა მოსვლოდა. 2008 წელს მტერს ჩააბარა ქართული მიწები, მიატოვა მებრძოლები, მოსახლეობა და ცხედრები. 100-ზე მეტ ჩაბარებულ სოფელს ქვის გროვას ეძახდა. იმ ომიდან ცოტა ხანში ენგურჰესი გადაულოცა რუსეთს. მაშინ გაქანდა ნიუიორკშიც და რობერტ დე ნიროს ბარში ტლინკაობდა. საქართველოსკენ მომავალმა შეიარა ევროპის ერთ-ერთ ძვირადღირებულ კურორტზე და იქაც არაფერი მოიკლო. რატომღაც იმ მძიმე დროს ფსიქოლოგიური ტრავმები არ მიუღია. რაც ჩაიდინა, იმაზე ბევრად ნაკლების გამო დააპატიმრეს და ცოტა ხანიც ვერ ძლებს ციხეში. აგერ, ახლა ბიძაც ჩამოუვიდა.

***– მის ბიძაზე, თემურ ალასანიაზე დიდი აჟიოტაჟია ატეხილი.***

– არ მესმის, რის გამოა ასეთი აჟიოტაჟი. მის როლს გადამეტებულად წარმოაჩენენ. ამტკიცებენ, თითქოს ალასანიამ რევოლუცია უნდა მოახდინოს. ვერანაირ რევოლუციას ვერ მოაწყობს. რომელი ბისმარკი მყავს! დისშვილის პრეზიდენტობა ნამდვილად აწყობს. უნდა, რომ სააკაშვილი იყოს პრეზიდენტი ან პრემიერი, ის კი ეწეოდეს ბიზნესს საქართველოში. სულ ეს არის.

***– სააკაშვილი მიესალმა შერიგება-თანხმობის პროცესს და იმავდროულად აქციების აუცილებლობა ახსენა. 21 დეკემბერს იმართება აქცია.***

– თქვენს გაზეთს ბევრი მკითხველი ჰყავს და ყველას ვურჩევ, ნუ მიაქცევენ ყურადღებას სააკაშვილის კომენტარებს. ეს კაცი ერთ დღეს ერთს ამბობს, მეორე დღეს – სხვას, მესამე დღეს – სულ სხვას. მიშამადიდებლებს მოვუწოდებ, გამოფხიზლდნენ. რეალურად, ნაციონალურ მოძრაობას ცოტა მხარდამჭერი ჰყავს. არჩევნებზე მას ხმა მისცეს „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებულმა ადამიანებმა. აქციებზე ხალხის მოგროვება უჭირთ. ავტობუსებით ჩამოჰყავთ ადამიანები. ეს ხალხი არ არის ნაცმოძრაობის მხარდამჭერი. ზოგადად, მიშამადიდებლები არსებობენ და მათ ვურჩევ, გააანალიზონ, ვინ გაიხადეს კერპად და რა მიზნით იმართება აქციები. თუ შერიგების პროცესს მოჰყვა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნება, ხალხი ამას არ მოითმენს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ არავის დავუხრით თავს, არც არავის ვუყურებთ ზემოდან, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა...“

– ჩემი პრემიერობის პირობებში არც ერთი მოქალაქე არ იდგება კანონზე მაღლა და არც ერთი მოქალაქე არ იდგება კანონზე დაბლა, კანონი ყოველთვის აღსრულდება!

ასე მიმართა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა საზოგადოებას და მუშაობის განვლილი პერიოდი შეაჯამა.

– მოგეხსენებათ, რომ მთავრობის ჩაბარება კრიზისულ მომენტში მომიწია, როდესაც პოლიტიკური ტემპერატურა საკმაოდ მაღალ ნიშნულზე ხელოვნურად იყო აწეული და დესტრუქციული ძალები სახელმწიფოზე შეტევას ცდილობდნენ, რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები კი საპარლამენტო საბოტაჟს ეწეოდნენ. ყველამ კარგად უნდა გაიგოს, რომ თუ სახელმწიფოს სახელმწიფოდ ყოფნის პრეტენზია აქვს, მან უმთავრესი პრინციპები უნდა დაიცვას, უნდა დაიცვას კანონის უზენაესობა და შეასრულოს ვალდებულებები.



ჩვენ არავის დავუხრით თავს, არც არავის ვუყურებთ ზემოდან, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც ჩვენს ამაყ და თავისუფლების მოყვარულ ქართველ ხალხს ეკუთვნის და ამას ყველამ სათანადო პატივი უნდა სცეს.

ჩემი პრემიერობის პირობებში, არც ერთი მოქალაქე არ იდგება კანონზე მაღლა და არც ერთი მოქალაქე არ იდგება კანონზე დაბლა, მაგრამ როცა საქმე ეხება კანონისა და კონსტიტუციის დაცვას, ჩვენ ნებართვას არავის შევეკითხებით, კანონი ყოველთვის აღსრულდება! – განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, პრიორიტეტი კვლავ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ეკონომიკურ ინტერესებს შორის სწორი ბალანსის დაცვაა.

– მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი იანვარსა და თებერვალში მინუსებში იყო, მარტიდან კი ყოველთვიური ეკონომიკური ზრდა დადებით მაჩვენებელში გადავიდა და ბოლო რვა თვიდან ოთხ თვეში ორნიშნა ეკონომიკური ზრდაც კი დაფიქსირდა, წლის ბოლოს ჩვენი პროგნოზით ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვექნება, რაც არა მარტო რეგიონის, არამედ ევროპის მასშტაბითაც უპრეცედენტოა ირლანდიის შემდეგ.

2022 წელს დაგეგმილი გვაქვს მინიმუმ 6%-იანი ეკონომიკური ზრდა, ხოლო ეკონომიკის მთლიანი მოცულობა 65 მილიარდი ლარი იქნება, რაც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის გადაანგარიშების მიხედვით ისტორიულ მაქსიმუმზე გაგვიყვანს და 5500 დოლარს გადააჭარბებს. ამავდროულად, სახელმწიფო ვალსა და საბიუჯეტო დეფიციტსაც შევამცირებთ, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან, ჩინეთის პრემიერთან და „ფაიზერის“ დირექტორთან პირადი მოლაპარაკებების შედეგად ქვეყანაში ვაქცინის დეფიციტი არ შექმნილა.

– ჩამოვიტანეთ 5 მილიონამდე ვაქცინა, მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გახდა 2 მილიონი დოზა „ფაიზერი“, 1.700.000 დოზა „სინოფარმი“, 1.100.000 დოზა „სინოვაკი“, 150 ათასამდე დოზა „ასტრაზენეკა“ და მათ თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება აქვთ, თუ რომელი მწარმოებლის ვაქცინით აიცრებიან. ასევე, ევროკავშირმა აღიარა ქართული კოვიდსერთიფიკატები და საქართველო შეუერთდა ევროკავშირის შესაბამის ერთიან ციფრულ სისტემას, – განაცხადა პრემიერმა.

ის რამდენიმე კვირის წინ გაჟღერებულ აზარტული თამაშების აკრძალვასა და ფსიქოტროპულ წამლებზე კონტროლის ინიციატივასაც შეეხო:

– რამდენიმე კვირის წინ მე წარმოვადგინე კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც ონლაინ სათამაშო ბიზნესისთვის საგადასახადო დაბეგვრის მექანიზმის შემოღებას ითვალისწინებს, რაც სექტორის გადასახადების დასაბეგრ ბაზას 65-70%-ით გაზრდის.

ამასთან ერთად, აიკრძალება აზარტული თამაშების რეკლამა და 25 წლამდე მოქალაქეებს აზარტულ თამაშებში მონაწილეობის მიღება აეკრძალებათ. აღნიშნული შეზღუდვა შეეხება სოციალურად დაუცველ პირებს, რომლებიც დახმარებას იღებენ სახელმწიფოსგან, საჯარო მოხელეებს, პირებს, რომლებიც მიმართავენ შემოსავლების სამსახურს თვითშეზღუდვის მექანიზმის გამოყენების მოთხოვნით და ასევე პირებს, რომლებიც მოხვდებიან ე.წ. შავ სიაში სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ოჯახის წევრების მოთხოვნით. ჯამში, აზარტულ თამაშებზე წვდომა 1 მილიონამდე სრულწლოვან ადამიანს შეეზღუდება.

კიდევ ერთი ნაბიჯი, რომელიც ჩემი დავალებით გადაიდგმება, იქნება ფსიქოტროპული მედიკამენტების გაყიდვის მკაცრად გაკონტროლება. დღეს ეს ძალიან მწვავე და მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც აუცილებლად მოგვარდება.

ასევე, ვგეგმავთ ფარმაცევტული ბაზრის დარეგულირებას, რათა მედიკამენტების გაზრდილ ფასებზე არსებული მიდგომა შეიცვალოს.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო, საქართველოს აქვს შეუქცევადი ეკონომიკური წინსვლის პროცესი.

– წლის პირველი ორი თვის განმავლობაში, იანვარ-თებერვალში ჩვენ გვქონდა ეკონომიკის ვარდნა. რაც ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო, ჩვენ გვაქვს შეუქცევადი ეკონომიკური წინსვლის პროცესი. წელს სწორედ მისი დამსახურებით ჩვენ გვექნება ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. ამ მაჩვენებლით საქართველო, ირლანდიის შემდეგ, ევროპაში მეორე ადგილზეა, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ ირაკლი ღარიბაშვილის ანგარიშის წარდგენის შემდეგ განაცხადა, რომ პრემიერმა სამომავლო პროექტებზე ისაუბრა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

– გამოვყოფდი რამდენიმე მიმართულებას, რაზეც ანგარიშში იყო საუბარი. ეს არის ენერგეტიკული პროექტები, რომელიც ჩვენს ქვეყანას სჭირდება, რათა ელექტროენერგიის თვალსაზრისით ჩვენს მეზობელ ქვეყნებზე დამოკიდებული არ ვიყოთ. ასევე მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველების კუთხით დასაქმების პროგრამა, – განაცხადა კახა კალაძემ.

# ნათია თურნავა წლის ბოლომდე თანამდებობას დატოვებს

„შაბათის ფორმულას“ ინფორმაციით, ახალ წლამდე თანამდებობას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა დატოვებს.

„შაბათის ფორმულას“ წყარომ უთხრა, რომ თურნავას 2022 წლიდან პოსტზე მისი პირველი მოადგილე, ოთარ დანელია ჩაანაცვლებს. წლების წინ დანელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობდა. თავად დანელია უარყოფს ინფორმაციას, რომ ეკონომიკის მინისტრის თანამდებობას დაიკავებს.

ადამიანები, რომლებიც ივანიშვილ-ღარიბაშვილის ფსიქოლოგიას კარგად იცნობენ, ფიქრობენ, რომ პრემიერი ამ საკადრო ცვლილებებით, ძალაუფლების სადავეების მთლიანად გაკონტროლებას ცდილობს.

„ქართული ოცნებაში“ მინისტრთა კაბინეტში დაგეგმილ ცვლილებებს ისევ უარყოფენ.

აღსანიშნავია, რომ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემაც გააკეთა. ფორმულას ინფორმაციას მმართველ გუნდში მაშინაც უარყოფდნენ, თუმცა 9 დეკემბერს მინისტრმა თქვა, რომ მოვალეობებს წლის ბოლომდე შეასრულებს, შემდეგ კი პარტიის პოლიტსაბჭოში გააგრძელებს მუშაობას.



27 ნოემბერს შაბათის ფორმულამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ახალ წლამდე თანამდებობას დატოვებს. მას პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, სავარაუდოდ, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების ამჟამინდელი მინისტრი ირაკლი ქარსელაძე შეცვლის.

# ნუცუბიძეზე 17 წლის ბიჭის დაჭრისთვის ნიკა თოიძე პოლიციას ჩაბარდა

18 დეკემბერს თბილისში ნუცუბიძის პლატოზე სისხლიანი დაპირისპირების შედეგად 17 წლის ბიჭი დაჭრეს.

თვითმხილველი ამბობს, რომ 17 წლის ბიჭს ჯგუფურად გაუსწორდნენ და ცივი იარაღით დაჭრეს.

მისი თქმით, პოლიცია ადგილზე მალე მივიდა, სასწრაფომ კი დაიგვიანა.

პოლიცია ნიკა თოიძეს ეძებდა, რომელიც ცნობილი მომღერლის, გია თოიძის შვილია.

კურიერი ესაუბრა ნიკა თოიძის მამას. მისი თქმით, თბილისის ცენტრში მომხდარი სისხლიანი გარჩევის შემდეგ, ნიკა თოიძე სახლში არ მისულა და კონტაქტზეც არ გასულა.

მოგვიანებით ნიკა თოიძე პოლიციას ჩაბარდა. ამის შესახებ ფორმულას გია თოიძემ უთხრა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# „პრეზიდენტის პოზიცია სწორია, „ქართულ ოცნებას“ არ შეუთანხმა შერიგების იდეა“

## ლევან ალაფიშვილი: „ამომრჩეველი ვიწროპარტიულ ინტერესებს აღარავის აპატიებს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო ლევან, პრეზიდენტი ზურაბიშვილი მიმდინარე კვირიდან იწყებს პოლიტიკოსებთან ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს. რამდენად ოპტიმისტურად უყურებთ ამ პროცესს?***

– სახელმწიფომ 30 წლის მანძილზე შეცდომების საკმაო გამოცდილება დააგროვა საიმისოდ, რომ მსჯელობა გავმართოთ, რა გვინდა და რა გვაერთიანებს ამ მიზნის მიღწევაში. ეს იქნებოდა სახელმწიფოს ახალ ეტაპზე გადაყვანა. ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა მხარემ ტერმინ შერიგებას შინაარსი შესძინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ იგივე მოცემულობას, რომელიც 2012 წელს გვქონდა, ვგულისხმობ სამართლიანობის აღდგენის დაპირებას, რომელსაც შინაარსი არ შესძინა „ქართულმა ოცნებამ“. ამიტომ ვამბობ, თუკი, შინაარსს არ შევძენთ ამ ტერმინს, შეიძლება ისეთი დაპირისპირება მივიღოთ, რომ წარმოდგენაც გაგვიჭირდეს.

***– სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ შერიგება არ უნდა იყოს საწყისი ეტაპი, ეს უფრო პროცესის კულმინაცია უნდა იყოსო. უფრო – ეროვნული თანხმობა – ასე თქვა მან.***

– თანხმობა უფრო ფართო შინაარსის ცნებაც კი არის, ვიდრე შერიგებაა. შერიგება გულისხმობს ვიყავით დაპირისპირებულები და შევრიგდით, ვილაცამ ვილაცას მიუტევა. მაგრამ თანხმობა უფრო დიდს და უფრო ბევრს იტევს. ერთი სიტყვით, ფრთხილები უნდა იყვნენ ტერმინებთან. და, რაც მთავარია, რა შინაარსს დებენ ამ მოქმედებაში, საზოგადოებას უნდა აუხსნან და აცნობონ, რადგან მხოლოდ პოლიტიკოსების თანხმობა იქნება თუ შერიგება, არ გამოვა.

პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას პერიოდის საქართველო დღემდე იშუშებს იმ ტკივილებს, რომელიც მაშინდელმა დაპირისპირებამ და ომმა მოგვიტანა. საიდან ვიწყებთ ამ თანხმობას თუ შერიგებას, ესეც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მაშინდელი პოლიტიკოსები გასამართლებულები არიან, მოხდა მათი რეაბილიტაცია თუ როგორ იქნება, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხებია.

მე მიმაჩნია, რომ საზოგადოების ფართო ჩართულობით უნდა წარიმართოს პროცესი. პირველ ეტაპზე შეიძლება სახელმწიფოს მეთაურმა პოლიტიკოსების ჩართულობით დაიწყოს პროცესი, მაგრამ რეალური შედეგი თუ გვინდა დადგეს, მაშინ ეს უნდა გადავიდეს საზოგადოების სხვადასხვა ფენებში, პირველ რიგში, ამ პროცესში მე პირადად ჩავრთავდი რელიგიურ გაერთიანებებს. არა მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიას, არამედ საქართველოში არსებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციას, რომ მათ იგრძნონ, რეალურად ისინიც არიან პროცესის თანამონაწილენი საკუთარ მრევლთან ერთად.

***– შეიძლება ამ პროცესში მმართველი პარტიის პოზიცია გადამწყვეტი იყოს? როგორც გაირკვა, პრეზიდენტს ეს იდეა არ შეუთანხმებია „ქართულ ოცნებასთან“.***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ძალიან მნიშვნელოვანი მგონია პრეზიდენტის ის პოზიცია, რომელიც საჯარო გახდა. როგორც გაირკვა, ეს არის პრეზიდენტის ინდივიდუალური ხედვა და არა შეთანხმებული მმართველ პარტიასთან.

არ შეიძლება ასეთი იდეები, ხედვები პოლიტიკურ სუბიექტებზე იყოს დამოკიდებული, როგორი ძლიერებიც არ უნდა იყვნენ იმ კონკრეტულ მომენტში. არ შეიძლება ასეთი იდეები, რომელიც პირდაპირ სახელმწიფოებრიობას, ამ ქვეყნის მოქალაქეებსა და მათ მომავალს ეხება, დაყოფილი იყოს „ნაცებად“ და „ქოცებად“. ამ ჭრილში მისი დანახვა შეუძლებელია თუ, რასაკვირველია, მიზანი ბევრად უფრო შორსმჭვრეტელურია.

ვიღაცა შეიძლება შემომედავოს, რომ ამ პოლიტიკური ძალების უკან ამომრჩევლები დგანან, რომ ერთი საერთოდ მართავს და უმრავლესობაა, მაინც არ შეიძლება, რადგან საუბარია სახელმწიფოზე, რომელიც მარადიულია. ეს ძალები კი ხელისუფლებაში შეიძლება რამდენიმე წლით იყვნენ და მერე საერთოდ არ იყვნენ პოლიტიკაშიც კი.

სახელმწიფოს მეთაური კონსტიტუციით ყველას პრეზიდენტია, ყველა მოქალაქეს წარმოადგენს ის. ამიტომ, სწორია სალომე ზურაბიშვილის პოზიცია, როდესაც მან თქვა, რომ ეს იდეა არ შეუთანხმებია „ქართულ ოცნებასთან“.

„ქართულ ოცნებას“, უნდა თუ არ უნდა, თუკი ეს პროცესი სწორად და გონივრულად წარიმართება და მას ექნება საზოგადოების მხარდაჭერა, მოუწევს ჩართვა, ისევე, როგორც „ნაციონალურ მოძრაობას“.

ნებისმიერი პოლიტიკური ძალა თუკი ამ პროცესს გამოიყენებს თავისი ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, მერწმუნეთ, პროცესის მიღმა დარჩება. არ გამოვრიცხავ საკუთარი ამომრჩევლის მიღმაც, რადგან ამომრჩეველი, რომელიც შერიგების მომხრეა და 30 წლის მანძილზე უკეთესი სახელმწიფოს მოლოდინშია, არავის აპატიებს ვიწროპარტიულ ინტერესს.

***– იგივე შეგიძლიათ თქვათ მიხეილ სააკაშვილის შეწყალებაზეც?***

– რა თქმა უნდა! თუკი საუბარია მხოლოდ პოლიტიკოსთა შერიგებაზე, მაშინ ეს სხვა პროცესია და აქ შეიძლება განხილულ იქნას სააკაშვილის შეწყალების საკითხი, მაგრამ თუკი საუბარია უფრო დიდ პროცესზე, ფართო საზოგადოებრივ კონსენსუსზე, მაშინ საკითხი სხვაგვარად დგება. თუკი შერიგება ან თანხმობა ერთი პოლიტიკოსის შეწყალებამდე დავიდა, მაშინ საქმე დამთავრებულია.

# „ივანიშვილს წულუკიანი კორუფციულ-სქემურ ხლართებში ჰყავს“

## თაკო ჩარკვიანი: „ტიკარაძის პრემიერად დანიშვნა წლის ანეკდოტია“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა მოეწონა სალომე ზურაბიშვილის გამოსვლაში და რა აძლევს ოპტიმიზმის საფუძველს? რას ნიშნავდა კობახიძის განცხადება, რამდენად მისაღებია წინაპირობებზე უარის თქმა, მაშინ როცა, ოპოზიციაც აყენებდა სააკაშვილის თავისუფლებას წინაპირობად? რას ფიქრობს გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ პრემიერის პოსტზე ღარიბაშვილს ტიკარაძე შეცვლის და ვინ არის ივანიშვილის „კარზე“ ორი მთავარი ფიგურა? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „კანონი და სამართალის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბრობს.**



**„თუ პრეზიდენტი „ოცნების“ ბარიერს გადალახავს, მისი ბიოგრაფიისთვის იქნება კარგი“**

***– თქვით, რომ პრეზიდენტის გამოსვლაში ბევრი კარგი პასაჟი დაიჭირეთ და ხავსს ეჭიდებით, რათა ოპტიმიზმი შეინარჩუნოთ, რაც ასე გვაკლია. რა დაინახეთ?***

– თავიდან დავიწყებ. სანამ ეს სადღესასწაულო საღამო იქნებოდა, რამდენიმე საათით ადრე სოციალური ქსელის საშუალებით მადლობა გადავუხადე. იმიტომ, რომ დაიწყო პროცესი. მე მომეწონა მისი სიტყვა და რამდენიმე წინადადებას მოვეპოტინე. ხო იცით. გაჭირვებული ხალხი ხავსს ეჭიდებოდაო. დღეს ისეთი მდგომარეობაა და ისეთი ჩიხია, რომ ადამიანები ხავსს ვეჭიდებით.

ალბათ მკითხავთ, რატომ არ მივედი. მქონდა ინფორმაცია, რომ ვერ მოხდებოდა ამ ფორმატში პოლიტიკურ რეალობაზე საუბარი. ამას გარდა, ისეთი გაჭირვებაა ირგვლივ, რომ რაღაცნაირად ვერ მქონდა შესაბამისი განწყობა.

***– არ გეზეიმებოდათ?***

– დიახ, არ ჩავთვალე საჭიროდ მისვლა, მაგრამ მართლა გულწრფელად გადავუხადე მადლობა, რომ სიტყვა „შეთანხმების“ პროცესის დაწყება ახსენა. მაგრამ, ახლა საინტერესოა, რამდენად მოიყვანს მოქმედებაში. მე მზაობა გამოვთქვი, რომ დავსხდეთ მაგიდასთან და დაიწყოს პროცესი. იქ უკვე რაღაცები გამოჩნდება. ფაქტია, რომ რაღაც ნოტი შემოიტანა. თუ განცხადებად დარჩა და მოქმედებაში არ მოიყვანს, მაშინ გაღიმებად დარჩება და ეს არ იქნება კარგი, მაგრამ მგონია, რომ რაღაც პროცესი უნდა დაიწყოს და აღმოჩნდეს მის ბიოგრაფიაში.

ღარიბაშვილის გამოსვლასაც მივაქციე ყურადღება შაბათს, ბევრს გადაუხადა მან მადლობა, მაგრამ ქალბატონი პრეზიდენტი იქ ვერ დავინახე. ვნახოთ, როგორ მოიყვანს მოქმედებაში იმ პასაჟებს, რაც მის გამოსვლაში იყო.

***– „ოცნების“ რიტორიკაში სალომე ზურაბიშვილის „განაცებაც“ ხომ არ გველოდება?***

– არ მგონია, მაგრამ ის, რომ მან მოინდომოს და ბოლომდე არ აღმოჩნდეს იმ რადიკალურ ფრთასთან, რასაც ჰქვია კობახიძე-ღარიბაშვილის ფრთა, ეს სავსებით მოსალოდნელია.

***– ზუსტად მაგას ვგულისხმობ, რომ დავინახეთ, რა კამპანია გააჩაღეს გახარიას წინააღმდეგ, ხან მოღალატედ გამოაცხადეს და ხან კოკაინშიკად. ასეთ რაღაცას ხომ არ ელოდებით ახლაც?***

– მგონია, რომ გახარია კიდევ უფრო მეტად იყო დამოკიდებული. პრეზიდენტი სხვა ინსტიტუციაა და მეტი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. გახარია, როდესაც პრემიერი იყო, მაშინ ვერ გაბედა ვერაფერი. ამან რაღაცა დაიწყო.

***– ანუ, აქვს მნიშვნელობა, როცა თანამდებობაზე ყოფნის დროს იწყებ? ამას უსვამთ ხაზს?***

– რა თქმა უნდა. გახარია ქვეყნის პირველი პირი იყო და მაშინ თუ ვერაფერი მოახერხა და სიტყვა ვერ თქვა, ახლა რა უნდა გააკეთოს?! კარგად ვიცით, რომ მაღალი პროცენტი არ აუღია არჩევნებზე.

***– მეორე მხრივ, სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ წინაპირობების გარეშე უნდა იყოს დიალოგიო. ეს „ოცნების“ გარდა, სააკაშვილის მხარდამჭერებისთვისაც იყო სიგნალი, რომ წინაპირობად არც სააკაშვილის თავისუფლება უნდა იყოს დაყენებული. ეს მისაღებია?***

– ჩემთვის სააკაშვილის თავისუფლება უპირველესად უკავშირდება იმას, რომ რეფორმირებულ სასამართლოზე მინდა ყველამ ილაპარაკოს. დაუშვებელია სააკაშვილს პასუხი აგებინონ იმ მოსამართლეებმა, რომელთაც იმ დანაშაულებზე აქვთ ხელი მოწერილი, რაზეც პასუხს სთხოვენ სააკაშვილს. ამიტომ, სააკაშვილის საკითხი აპრიორი სასამართლო რეფორმას უკავშირდება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვაყენებთ სასამართლო რეფორმის წინაპირობას, რაც არის უმნიშვნელოვანესი ჩემთვის. რეფორმირებული, დასავლური ტიპის სასამართლო აპრიორი გულისხმობს მესამე პრეზიდენტის საქმეს და ეს არის კავშირში. უნდა გათავისუფლდეს თუ არა სააკაშვილი?! აბა, ვინ უნდა გაასამართლოს ის?! მათ, ვინც დანაშაულებს მოაწერეს ხელი?! ამ კუთხით ყველამ რაღაცა უნდა გავაანალიზოთ. მე ვფიქრობ, რომ თუ პრეზიდენტიც გააანალიზებს ამას კარგად, ის ამას არ მიიღებს იმგვარად, თითქოს ოპოზიცია წინაპირობას აყენებს. არა, წინაპირობას კი არ ვაყენებთ, არამედ რეფორმირებული სასამართლოს თემას. აბა შერიგება როგორ ხდება?!

გუშინ ვეკამათებოდი ერთ-ერთ ადამიანს, რომელიც 26 მაისზე მესაუბრებოდა და თქვა, ხომ საშინლად დაგვარბიესო. მე, სხვათა შორის, არ ვყოფილვარ 26 მაისს, განსხვავებით 7 ნოემბრისგან. როდესაც იქ რამდენიმე ლიდერი დავინახე, მაშინვე მივხვდი, რომ იქ რუსეთი იყო. თუ 26 მაისს და 7 ნოემბერს განიხილავ, 5 ივლისი არ უნდა განიხილო?!

***– მათ შორის 20 ივნისიც, რომელიც ბოლო პერიოდში თითქოს მივიწყებულია პოლიტიკოსების მხრიდან.***

– მე სულ ვახსენებ. უშუალო მონაწილე ვარ იმ პერიპეტიების და საშინელება იყო. ჩემ თვალწინ ცვიოდა ხალხი.

ამიტომ, რადგან ასეთ ვითარებაში აღმოჩნდა ქვეყანა. დღევანდელმა დანაშაულის ჩამდენებმა გაასამართლონ ის, ვისზეც თვლიან, რომ ადრე მან ჩაიდინა დანაშაული?! ასე ხომ ვერ აღდგება სამართლიანობა. გამორიცხული ამბავია. ეს შეიძლება მხოლოდ დიდი ამნისტიით ან რეფორმირებული სასამართლოთი. დავსხდეთ და დავიწყოთ ლაპარაკი.

***– თუმცა, ჩვენ მოვისმინეთ კობახიძის რიტორიკა. ერთია, პრეზიდენტმა მართლა რეალურად მოინდომოს, მაგრამ რა გამოვა თუ ხელისუფლება ისევ იგივე რიტორიკასა და მოქმედებებს გააგრძელებს?***

– გეთანხმებით. როგორც კი სიტყვა შეთანხმება ახსენა პრეზიდენტმა, ალბათ ნახეთ, როგორი მწვავე რიტორიკა ჰქონდა კობახიძეს. ლამის გაგიჟდა, ეს კატასტროფაა და ამიტომ ვთქვი, რამდენად მოახერხებს პრეზიდენტი იმ რუბიკონის და ბარიერის გადალახვას, ეს მე არ ვიცი. თუ მოახერხა, ეს იქნება კარგი მისი ბიოგრაფიისთვის. მე ვამბობ – თუ. დარწმუნებით არ შემიძლია რამის თქმა.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ღარიბაშვილს უშვებენ პრემიერობიდან და ეკა ტიკარაძეს ნიშნავენ მის ნაცვლად. რაიმე ინფორმაციას ხომ არ ფლობთ ამაზე?***

– ახალი წელი მოდის და შეიძლება ეს ამ წლის ანეკდოტი იყოს.

***– გამორიცხავთ?***

– დიახ, გამოვრიცხავ. ამ წლის ანეკდოტად მივიჩნევ.

***– პრემიერის შეცვლასაც არ ელოდებით?***

– რაღაც არ მგონია.

მე საერთოდ ვხედავ ივანიშვილი-ღარიბაშვილი-წულუკიანის ტანდემს. სასამართლოს თემა რომ იყო, ხომ გახსოვთ, ივანიშვილმა რამდენიმე ასეული მილიონი რომ დაკარგა, მაშინ სასამართლოს რომ უთხრა ივანიშვილმა, რომ ირაკლის მარტო ამას ვეკითხებოდი და სხვა არაფერსო... იყო შეფასებები, რა შეურაცხყოფები აყენაო, მაგრამ ერთი წუთით არ მიფიქრია, რომ შეურაცხყოფა მიაყენა. პირიქით, როგორც უახლოესი ადამიანი, ისე გამოარიდა სიტუაციას. ისე განარიდა და ხელი დააფარა, სასამართლოსგან განარიდა, რომ აი, მას არავინ არაფერს არ ეკითხებოდა.

მეორე, ვერ გეტყვით, რომ ახლობელია, მაგრამ საქმიანი ბმა, უფრო სწორად, სქემებში ბმა აქვს წულუკიანთან, ხოლო ყველაზე ახლობლად ირაკლი ღარიბაშვილს თვლის.

***– ენდობა მათ?***

– ღარიბაშვილს უთუოდ ენდობა, წულუკიანთან კი სქემური ბმაა და ვერც გაინძრევა წულუკიანი მის გარეშე, ვერასოდეს ვერ „გატოკდება“, ისეთ სქემურ კორუფციულ ხლართში ჰყავთ. ოღონდ მისი ნებით და სიამოვნებით. ეტყობა, სურვილები აქვთ, რომ თვითონ იყვნენ ამ ხლართებში.

***– კალაძე სად არის ამ ტანდემში?***

– მე თქვენ დაგისახელეთ ივანიშვილისთვის ბევრად უფრო მთავარი ფიგურები. შემთხვევით გადაყვანილი არ გეგონოთ წულუკიანი კულტურის სამინისტროში. ეს აუცილებლად გამოჩნდება უახლოეს მომავალში.

# „ტიკარაძემ გენოციდი მოგვიწყო!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***– ახალ ომიკრონის შტამთან დაკავშირებით რას იტყვით?***

– რა მნიშვნელობა აქვს, ომიკრონი იქნება თუ ომეგა? ესენი ვერანაირ გამოწვევას ვერ უმკლავდებიან. ეს გამოიწვევს ინფიცირებულების რაოდენობის გაზრდას, გადაიტვირთება კლინიკები. ბრიტანეთი ჩაიკეტა ომიკრონის შტამის გამო. მათ არ ეშინიათ, რომ გარდაცვალება ექნებათ ბევრი და ეკონომიკა გაჩერდება, აი ჩვენთან კი ზუსტად ეს მოხდება. ჩვენი საავადმყოფოები ვერ გაუძლებენ ამხელა დაწოლას.

***– სულ სხვადასხვაგვარი შეფასებები გვესმის. ზოგი ამბობს, რომ ძალიან მარტივად გადავიტანთ, ზოგი აცხადებს, რომ მიცვალებულებს ვეღარ დავითვლით. რა იქნება რეალურად?***

– იმაზე რთული არ იქნება, რაც დელტა შტამი იყო, მაგრამ გარდაცვალებები იქნება, როგორ არ იქნება. თუ დროზე არ მოახდინე ინფიცირებულის კლინიკაში გადაყვანა, მისი მკურნალობა, რა მნიშვნელობა აქვს, ომიკრონი იქნება თუ ისევ ალფა დაბრუნდება?! აქ ყველაფერი დამოკიდებულია სისტემის გამართულ მუშაობაზე. სიკვდილიანობა დაბალი ნამდვილად არ იქნება.

***– ასეთი რთული წელი გვქონდა და პრემიერი თავის გამოსვლაში პომპეზურად აფასებს მისი საქმიანობის ერთ წელს. ასე კარგადაა საქმე და ჩვენ არ ვიცით?***

– პრემიერის განცხადებებს რომ ვუსმენ, მინდება იმ საქართველოში წავიდე საცხოვრებლად, სადაც ის ცხოვრობს. მგონია, რომ ის სრულიად სხვა ქვეყანაში ცხოვრობს და ჩვენ სხვაგან ვართ.

***– აცდენილები არიან რეალობას თუ უბრალოდ, ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ყველაფერი კარგადაა?***

– არა, ძალიან კარგად იციან ყველაფერი, იციან, რომ ყველაფერი ცუდად არის, მაგრამ უტიფრები არიან. იხტიბარს არ იტეხენ და ასე ტუტუცურად აგრძელებენ იმის მტკიცებას, რომ ყველაფერი კარგად არის. ასე რომ, არ გამორიცხოთ, ტიკარაძე გამოვიდეს და განაცხადოს, ნიჩურტი მეკეთა გადადგომაზე განცხადება რომ გავაკეთე და ისევ მე ვრჩები ჯანდაცვის მინისტრადო. მოკლედ, ამათგან არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს. ურთულესი იანვარ-თებერვალი გველის. იქნება საცივში თავის ჩადება, ქართულ ჯიგრული ხვევნა-კოცნა და შედეგიც გვექნება შესაბამისი.

# ქურდულ სამყაროსთან კავშირის ბრალდებით 5 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული აქტიური კომპლექსური საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თბილისში, ქუთაისში, ზესტაფონსა და თერჯოლაში 5 პირი დააკავეს.

„ქურდული სამყაროს" წევრობისა და „ქურდული სამყაროს" წევრისთვის მიმართვის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1982 წელს დაბადებული ი.მ., 1975 წელს დაბადებული გ.გ. (მეტსახელად „გადაბმული"), 1978 წელს დაბადებული კ.ჟ., 1984 წელს დაბადებული შ.კ. და 1966 წელს დაბადებული გ.ს.

დანაშაულები 7-დან 10-მდე წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ფინანსური უთანხმოების გამო მოდავე მხარეებმა არსებული დავის მოსაგვარებლად მიმართეს „ქურდული სამყაროს" წევრებს: ი.მ.-ს, გ.გ.-ს და კ.ჟ.-ს, რომლებიც




აღნიშნული დავის გადაწყვეტის მიზნით, თავის მხრივ დაუკავშირდნენ საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდებს".

ამის შემდეგ, ქურდული სამყაროს" წევრებმა, მოდავე მხარეებთან ერთად, ფინანსური დავის ქურდული წესით გარჩევისთვის რამდენიმე შეხვედრა გამართეს თბილისში, წინასწარ დაქირავებულ ბინაში, ასევე, ერთ-ერთი მოდავე მხარის ოფისში. შეხვედრებზე „ქურდული სამყაროს" წევრებმა მოუსმინეს დაპირისპირებულ მხარეებს და დაავალეს, სადავო ფულიდან – 50.000 ლარიდან ობიექტურად განსაზღვრული კუთვნილი წილების ერთმანეთისთვის გადახდა, ასევე, ორივე მხარეს მოსთხოვეს მათ დავაში ჩართული „კანონიერი ქურდებისათვის" გარკვეული თანხის გაგზავნა. მოდავე მხარეები ვერ შეთანხმდნენ კუთვნილ წილებზე, რის შემდგომაც „ქურდული სამყაროს" წევრებმა ისინი დაავალდებულეს, ჩასულიყვნენ საბერძნეთში მყოფ „კანონიერ ქურდებთან", რომლებიც უკვე ქურდული გარჩევის საფუძველზე მიიღებდნენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

გამოძიება „ქურდული სამყაროს" წევრობისა და „ქურდული სამყაროს" წევრისთვის მიმართვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 223-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით და 223-ე პრიმა-4 მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს.

# წეროვანში 3 პირის დაჭრისთვის 36 წლის გ.მ. დააკავეს




შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული გ.მ. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 11-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ გ.მ.-მ მიმდინარე წლის 15 დეკემბერს, სოფელ წეროვანში, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობები მიაყენა თავის მეზობლებს: 1983 წელს დაბადებულ ა.მ.-ს, 1990 წელს დაბადებულ გ.მ.-ს და 1964 წელს დაბადებულ ზ.მ.-ს. სამივე მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა ჩაუტარდათ.

სამართალდამცველებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად, გ.მ. დააკავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღი, ნივთმტკიცების სახით არის ამოღებული.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# პროკურატურა დავით უმანკოშვილისთვის 7 წლის მისჯას გაასაჩივრებს

ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ყოფილი ექსპერტის, დავით უმანკოშვილის მიმართ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით საქართველოს გენერალური პროკურატურა ინფორმაციას ავრცელებს.




ბრალდებულმა ბიუროდან 286.401 ლარის, 9.350 აშშ დოლარის, 1.250 ევროს, 15.000 უკრაინული გრივნას ღირებულების სხვადასხვა მოქალაქეთა კუთვნილი საკვლევი ნივთიერი მტკიცებულებები და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კუთვნილი ტექნიკა: მობილური ტელეფონები, კომპიუტერული ტექნიკა და ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი სხვა მოწყობილობები მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით მითვისების ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტის კომპიუტერული ექსპერტიზის სამმართველოში ექსპერტის თანამდებობაზე მუშაობდა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით 2019 წლის იანვრიდან 2021 წლის 21 ივნისის ჩათვლით მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა დიდი ოდენობით – 286.401 ლარის, 9.350 აშშ დოლარის, 1.250 ევროს, 15.000 უკრაინული გრივნას ღირებულების სხვადასხვა მოქალაქეთა კუთვნილი საკვლევი ნივთიერი მტკიცებულებები და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კუთვნილი ტექნიკა: მობილური ტელეფონები, კომპიუტერული ტექნიკა და ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი სხვა მოწყობილობები.

პროკურატურის თანამშრომლებმა ბრალდებული 2021 წლის 24 ივნისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (მითვისება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც 5 წელი და 3 თვე განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 წელი და 9 თვე ჩაეთვალა პირობით. მასვე, 6 თვის ვადით ჩამოერთვა სამეწარმეო ორგანიზაციაში საქმიანობის უფლება.

საქართველოს პროკურატურა სასამართლოს განაჩენს სასჯელის ნაწილში არ ეთანხმება და კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო წესით გაასაჩივრებს" – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ქობულეთში ავტომობილი მდინარეში გადავარდა

## ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა

ქობულეთში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა. სატვირთო ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზის სავალი ნაწილიდან მდინარე კინტრიშში გადავარდა. დაშავებულია კიდევ ერთი პირი, რომელიც ქობულეთის „ევექსის" კლინიკაში გადაიყვანეს.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები იმყოფებოდნენ.

# საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის გამიჯვნასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის გამიჯვნასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტზე ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე და გენერალური პროკურორის მოადგილე ნათია მერებაშვილი.

სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ტექნიკური დახმარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში" ფარგლებში გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, იურიდიული დახმარების სამსახურის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა/ექსპერტებმა.

სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის გამიჯვნის საკანონმდებლო პაკეტის განხილვა. შეხვედრაზე საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით არაერთი საყურადღებო შეხედულება გამოითქვა.

მონაწილეებმა შეხვედრაზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პრობლემები/გამოწვევები; ვენეციის კომისიის რეკომენდაციები; პროექტის კონცეფცია და მიზანი; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები, სამინისტროს სტრატეგია დაგეგმილი ცვლილებების აღსრულებასთან დაკავშირებით და სხვ.

პროექტი – „ტექნიკური დახმარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში" – შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით, 2018 წლიდან ხორციელდება. იგი მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

# უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე გამოძიება დაიწყო




მიმდინარე წლის 17 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებას საფუძვლად დაედო მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სხვადასხვა კომპანიის მიერ ხდება საბაჟო წესის დარღვევით საქონლის/ტვირთის ტრანსპორტირება, განხორციელებული ფინანსური ოპერაციები სრულად არ აისახება კომპანიების სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, რის შედეგადაც საბაჟო წესების დარღვევის გზით, ადგილი აქვს ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადებისათვის თავის არიდებას, ასევე შემდგომში, სხვადასხვა დანაშაულებრივი გზით, ხდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

საქმის ვითარების გასარკვევად საჭირო ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე, 218-ე და 194-ე მუხლებით.

ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს მიერ შავ სიაში შეტანილი 37 ორგანიზაციიდან 3 კომპანია საქართველოში საქმიანობს.

აშშ-ის მთავრობამ დაადგინა, რომ ამ კომპანიების საქმიანობა საგარეო პოლიტიკას ან შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს ეწინააღმდეგება.

# ადიგენში 24 წლის ბიჭი დაჭრეს

ადიგენის სოფელ უდეში ახალგაზრდა მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს.

შემთხვევა 18 დეკემბერს მოხდა.

ადგილობრივების თქმით, 24 წლის ბიჭი, რომელსაც გულ-მკერდის არეში ჭრილობა დანით აქვს მიყენებული, სოფელ არლიდან არის. დაჭრილი თბილისში გადაიყვანეს.

პაციენტი კავკასიის მედიცინის ცენტრის გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც მედიკამენტოზურ კომაში ამყოფებენ. მკურნალი ექიმების თქმით, ტომოგრაფიაზე სიცოცხლისთვის შეუთავსებელი მდგომარეობა არ გამოვლენილა.

მანამდე კი სოფელ არლის მკვიდრს პირველადი დახმარება და გადაუდებელი ოპერაცია ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში, 18 დეკემბერს, გვიან ღამით, ჩაუტარდა.

ადიგენში 24 წლის კაცის დაჭრისთვის ერთი პირი დააკავეს.

# არასრულწლოვნის გაუპატიურება უვადო პატიმრობით დაისჯება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სექსუალური ხასიათის ჩამდენ პირთა მიმართ სასჯელის გამკაცრების გადაწყვეტილება მიიღო.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით, სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სასჯელის გამკაცრება და მათთვის გარკვეული უფლებების ჩამორთმევაა გათვალისწინებული. არასრულწლოვანის გაუპატიურება კი უვადო თავისუფლების აღკვეთით დაისჯება.

აღნიშნულ პროექტს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე დაუჭირა მხარი.

შსს-ს ინფორმაციით, 2021 წლის 9 თვის განმავლობაში სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისგებაში 152 პირი მიეცა, მათგან 114 არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულშია მხილებული.

# უშანგი ამირანაშვილი სურამთან ხიდის კონსტრუქციიდან გადავარდა და დაიღუპა

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის სურამის მონაკვეთზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დროს, ხიდის კონსტრუქციიდან მუშა გადავარდა.

შემთხვევა 17 დეკემბერს მოხდა. მიღებული დაზიანებების შედეგად, 33 წლის უშანგი ამირანაშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით, 18 დეკემბერს, ავტობანის მშენებლობაზე დასაქმებულებმა, საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და უსაფრთხოების ნორმების დადგენილი სტანდარტის უზრუნველყოფას ითხოვდნენ.

ავტობანზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს ჩინური კომპანია „სინო ჰიდრო" აწარმოებს.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

# გაიმართა უწყებათაშორისი სწავლება – „საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედება და დაგეგმარება"

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ ორგანიზებულ უწყებათაშორის სწავლებაში – „საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედება და დაგეგმარება."



სწავლების დახურვის ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კელი დეგნანი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი ესწრებოდნენ, რომლებმაც მონაწილეებს სიტყვით მიმართეს და სერტიფიკატები გადასცეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გარდა, სწავლებაში ასევე მონაწილეობდნენ – საქართველოს თავდაცვის, იუსტიციის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები.

ხუთდღიანი სწავლება მიზნად ისახავდა საგანგებო სიტუაციების დროს უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმების დახვეწას, ინციდენტებზე რეაგირების, რისკების შეფასებისა და მასთან ასოცირებული პროცედურების შესახებ ამერიკული გამოცდილების გაზიარებას. ტრენინგის აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ მოწვეული ამერიკელი ექსპერტები უძღვებოდნენ.

სწავლების ფარგლებში მონაწილეებმა განიხილეს მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზაციული მოდელები, ფართომასშტაბიანი ინციდენტების მართვა, ოპერაციების დაგეგმვა, უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება და სხვ.

## მერკელის პარტიის ლიდერად ფრიდრიხ მერცი აირჩიეს



გერმანიის მემარჯვენე ცენტრისტული „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის“ (ქდკ) წევრებმა პარტიის ლიდერად ფრიდრიხ მერცი აირჩიეს.

პარტიის მიერ გამართულ კენჭისყრაში მერცმა ხმების 62%-ზე მეტი მიიღო და მნიშვნელოვნად გაუსწრო კონკურენტებს, გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრს, ნორბერტ როეტგენსა და ფედერალური კანცლერის აპარატის ყოფილ ხელმძღვანელს, ჰელგე ბრაუნს.

შეგახსენებთ, გერმანიის ყოფილი კანცლერის, ანგელა მერკელის პარტიამ, „ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა“ სექტემბერის არჩევნებში ხმების ისტორიულად დაბალი მაჩვენებელი მიიღო და, ბოლო 16 წლის განმავლობაში პირველად, ოპოზიციური პარტია გახდა.

ქდკ-ის ლიდერმა არმინ ლაშეტმა არჩევნების შემდეგ თანამდებობა დატოვა.

## პოლონელი ჯარისკაცი ბელარუსში გაიქცა



პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, პოლონეთის არმიის ერთმა ჯარისკაცმა თვითნებურად მიატოვა ნაწილი და ბელარუსის ტერიტორიაზე გადავიდა.

– ჯარისკაცმა ბელარუსში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა, – ნათქვამია შეტყობინებაში.

პოლონეთის თავდაცვის მინისტმა ბლაშჩაკმა განაცხადა, რომ ხსენებული ჯარისკაცის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება. რაც შეეხება ჯარისკაცის უშუალო მეთაურებს, მათ თანამდებობები დატოვეს.

ჯარისკაცის გვარია ჩიჩკო. ის როგორც რუსეთის, ასევე პოლონეთის სამხედრო დაზვერვაზე მუშაობდა.

პოლონელებმა მისი ორმაგი თამაში გაშიფრეს და ჩიჩკო ბელარუსში გაიქცა.

## ფილიპინებში ძლიერ ქარიშხალს მინიმუმ 30 ადამიანი შეეწირა




ფილიპინებს ძლიერი ქარიშხალი „რაი“ დაატყდა თავს.

ქარის სიჩქარემ 195 კმ/სთ-ს გადააჭარბა.

„რაი“ ფილიპინებში მიმდინარე წლის ყველაზე ძლიერ ქარიშხლად შეფასდა. სტიქიურმა უბედურებამ ქვეყანაში ასობით შენობა დააზიანა, ელექტროენერგია გაეთიშა 3 მილიონზე მეტ ადამიანს.

ფილიპინების სტიქიური უბედურებების სააგენტოს ცნობით, ქარიშხალს სულ მცირე 30 ადამიანი ემსხვერპლა, კიდევ ათობით პირი დაკარგულად ითვლება.

მაშველებს მოსახლეობა საშიში ზონიდან გამოჰყავთ.

წინასწარი მონაცემებით, ქარიშხალმა „რაიმ“ ფილიპინებს 400 მილიონი დოლარის ოდენობის ზარალი მიაყენა.

## მექსიკაში მოდელი და მსახიობი ტანია მენდოსა მოკლეს



მექსიკაში ცნობილი მოდელი და მსახიობი, ტანია მენდოსა მოკლეს. მას თავს სპორტულ მოედანთან დაესხნენ, სადაც მისი 11 წლის ვაჟი ფეხბურთს თამაშობდა. 42 წლის მოდელის გადარჩენა ექიმებმა ვეღარ შეძლეს.

თავდამსხმელები პოლიციას ამ დრომდე არ დაუკავებია.

ტანია მენდოსა ცნობილ ფილმებში თამაშობდა, როგორებიცაა „სამხრეთის დედოფალი“ და „ტერორი მუზეუმში“.

## ინდონეზიაში 7,4 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა



ინდონეზიაში, სამხრეთ სულავესის პროვინციის სანაპიროზე 7.4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

გამოცხადდა ცუნამის საფრთხე.

მიწისძვრა 19 დეკემბერს ადგილობრივი დროით 10:30 საათზე მოხდა.

ადგილიდან მოსახლეობის ევაკუაციაა დაწყებული. ევაკუაცია დაიწყო საავადმყოფოებშიც.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

## მამუკელაშვილის 17 ქულა და შენგელიას ორმაგი დუბლი



მილუოკის ტრავმირებული სუპერვარსკვლავის, იანის ატეტეკუმბოს არყოფნაში სანდრო მამუკელაშვილმა უკვე მეორედ დაიწყო თამაში სასტარტო ხუთეულში და მოედანზე 42 წუთი გაატარა. ეს მოხდა კლივლენდთან წინააღმდეგ, რომელიც მილუოკიში გაიმართა და კავალიერსის გამარჯვებით დასრულდა – 119:90.

მამუკელაშვილმა მილუოკელთაგან ქულების მხრივ მეორე შედეგი აჩვენა. სანდრომ 4-დან 2 ორქულიანი, 9-დან 4 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. მისმა მონაგარმა 17 ქულა შეადგინა, რაც ასევე პირადსარეკორდო მაჩვენებელია ქართველი ფორვარდისთვის. ქულებთან ერთად სანდროს 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება ჰქონდა, პასივში კი, 3 დაკარგვა და 3 პერსონალური ფოლია.

აქამდე მამუკელაშვილის საუკეთესო შედეგად 12 ოქტომბერს, მაიამისთან ნათამაშები 27 წუთი და 12 ქულა ითვლებოდა.

მილუოკის 18 მოგების წილ 13 მარცხი გააჩნია და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზეა. მომდევნო მატჩს მამუკელაშვილის გუნდი შინ, ჰიუსტონ როკეტსთან ჩაატარებს.

თორნიკე შენგელიამ კი ევროლიგაში ორმაგი დუბლი გაახერხა. ქართველი ფორვარდი მოსკოვის ცსკას ბერლინში, ალბას დამარცხებაში დაეხმარა – 93:90.

შენგელიამ 24 წუთში 12 ქულა, 10 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა მოაგროვა. მისმა თანაგუნდელმა, გერმანელმა იოჰან ვოიტმანმა 16 ქულა ჩააგდო. ალბადან შეუჩერებელი იყო მაოდო ლო – 26 ქულა.

თორნიკე შენგელია:

– სადავო გდებიდან დაწყებული, ბოლო წამებამდე მძიმე თამაში იყო. ალბამ კარგად ითამაშა, ჩვენს აგრესიას აგრესიითვე უპასუხა. თუმცა, ჩვენ უკეთესები ვიყავით.

ცსკას 10 მოგება, 6 წაგება აქვს და მე-4-7 ადგილებს ინაწილებს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კალეიდოსკოპი

## წყალქვეშ ნადირობის მოყვარულმა ზვიგენის თავდასხმის მოგერიება მოახერხა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატში წყალქვეშ ნადირობის მოყვარულმა მოახერხა, თავი გაეთავისუფლებინა ზვიგენისგან, რომელიც მას თავს დაესხა და უკბინა. ამ ინციდენტის შედეგად მამაკაცმა თავი საავადმყოფოში ამოყო, თუმცა, როგორც კი იარებს მოიშუშებს, ისევ წყალქვეშ ნადირობის გაგრძელებას აპირებს.

24 წლის ფილიპ ბრაუნი ბარამუნდიზე ჰარპუნით კლდოვან კუნძულთან იარაბას პლაჟიდან 300 მეტრში ნადირობდა, როდესაც მოზრდილ ზვიგენს გადააწყდა.

– ვიცოდი, რაც მოხდებოდა. დავინახე მისი სიფათი და მივხვდი, რომ ახლა თავს დამესხმებოდა. კლდისგან მოშორებით ვიმყოფებოდი, ამიტომ შევეცადე, რაც შეიძლება სწრაფად გამეცურა. როგორც კი კლდესთან მივცურე, ზვიგენი უკნიდან მომიახლოვდა და ყბები ფეხში ჩამავლო. ვიფიქრე, რომ დავიღუპებოდი, ვინაიდან უზარმაზარი ზვიგენის წინაშე დაუცველი ვიყავი, – გაიხსენა ავსტრალიელმა.

ბრაუნმა ამ დროს თავის მომცრო ჰარპუნს სტაცა ხელი, შეტრიალდა და ზვიგენს თავში მიაყენა დარტყმა. მამაკაცმა მოახერხა ნაწილობრივ წყალში ჩაძირულ კლდეზე აცოცება, თუმცა ზვიგენი არ ეშვებოდა.

– ის ჩემ გარშემო ტრიალებდა და დროდადრო ცდილობდა, მომწვდომოდა. საკმაოდ ბევრი სისხლი დავკარგე, – განმარტა ბრაუნმა.

კლდეზე აცოცებულმა მამაკაცმა საშველად ოდნავ მოშორებით ნავში მყოფ მეგობრებსა და ახლობლებს უხმო. ის ნავში აიყვანეს, ჭრილობა გადაუხვიეს და სისხლდენის შესაჩერებლად თოკი გადაუჭირეს.

დაშავებული ბრაუნი ჯერ ნავით – ნაპირზე, შემდეგ კი მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ მას პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, რის შემდეგაც შვეულმფრენით უფრო სერიოზულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია გაუკეთდა. ზვიგენის თავდასხმის შედეგად მამაკაცს მუხლი და მყესები დაუზიანდა.

## წერა-კითხვის სწავლის სურვილი ქალმა 104 წლის ასაკში აისრულა



ინდოეთის კერალას შტატის მცხოვრებმა ქალმა სახელად კუტიუიამამ წერა და კითხვა 104 წლის ასაკში ისწავლა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კუტიუიამამ მთელი თავისი ცხოვრება სოფელში გაატარა და მრავალი წელი საყოფაცხოვრებო მოვალეობების შესრულებაში გაატარა. ქალი ღარიბ ოჯახში დაიბადა და, მართალია, დიდი ხანია სურდა, წერა-კითხვა ესწავლა, ეს მხოლოდ მიმდინარე წლის აპრილში შეძლო.

– ყოველთვის მაინტერესებდა, რა ხდებოდა მსოფლიოში, – აღიარა კუტიუიამამ და იქვე დაამატა, რომ ძალიან ნანობდა იმას, რომ კითხვა არ იცოდა და ოჯახის სხვა წევრებს სთხოვდა, მისთვის ხმამაღლა წაეკითხათ გაზეთები.

– იმ დროს ქალისთვის განათლების მიღება წარმოუდგენლად ითვლებოდა. ცხრა წლის ასაკში ბიჭებიც კი თავს ანებებდნენ სწავლას. ჩემი მშობლები უმიწაწყლო სოფლის მეურნეობის მუშაკები იყვნენ და ჩემს მოვალეობას შეადგენდა საჭმლის მომზადება და საცხოვრებელი, სადაც ჩემთან ერთად 11 და და ძმა ცხოვრობდა, წესრიგში ყოფილიყო, – განმარტა ინდოელმა. ის 16 წლის ასაკში გათხოვდა, გააჩინა ხუთი შვილი, მაგრამ ყოველთვის თავს უკმაყოფილოდ გრძნობდა.

მიმდინარე წლის ნოემბერში ქალი პირველად მიუჯდა მერხს და დაწყებითი სკოლის სახელმწიფო საგამოცდო მინიმუმი ჩააბარა, მათემატიკაში კი მაქსიმალური ქულები მიიღო.

## შეცდომით გათავისუფლებული დამნაშავე მეგობრებთან გაერთო და ციხეში დაბრუნდა



ლონდონში ციხეში დააბრუნეს შეცდომით გათავისუფლებული დამნაშავე, რომელიც ორი კვირა თავისუფლებაზე მყოფ მეგობრებთან ერთობოდა.

ნოემბერში 30 წლის ლაურას მატუშოვასს ოთხ-ნახევარი წლით პატიმრობა მიუსაჯეს შანტაჟისთვის, თუმცა საკანში მოთავსებიდან ორი დღის შემდეგ გამოიყვანეს და უთხრეს, რომ გათავისუფლებული იყო.

გაკვირვებულმა დამნაშავემ მაშინვე მეგობარს დაურეკა და სახლში მიყვანა სთხოვა. მიუხედავად სიხარულისა, რომელიც მას მოულოდნელი გათავისუფლების გამო ეწვია, მატუშოვასი შეეცადა დარწმუნებულიყო, რომ ეს ყველივე შეცდომა არ იყო, თუმცა დაარწმუნეს, რომ ყველაფერი წესრიგში იყო. მაშინ ის დამშვიდდა და მეგობრებთან ერთად მოილხინა.

მხიარულება ორი კვირაც არ გაგრძელებულა, ვინაიდან მალე გაირკვა, რომ შეცდომა იქნა დაშვებული. 6 დეკემბერს პოლიციელები მამაკაცს სახლში ეწვივნენ და საპატიმროში დააბრუნეს. ასევე გაირკვა, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით მოსამართლეებმა შეცდომით ექვსი დამნაშავე გაათავისუფლეს.

## დათვმა მწყემსი ქალი მოკლა



ინდოეთის გუჯარათის შტატში დათვი თავს დაესხა და მოკლა ქალი, რომელიც საქონელს მწყემსავდა.

დაკარგული ქალის ძებნას სატყეო მეურნეობის თანამშრომლები შეუდგნენ. რამდენიმე საათის ძებნის შემდეგ ქალის ცხედარი ტყის სიღრმეში აღმოაჩინეს. მას თავზე, სახესა და კისერზე დათვის კბილების მიერ დატოვებული იარები ეტყობოდა. დაღუპულის ოჯახს მთავრობა კომპენსაციის სახით 400 ათას რუპიას გადაუხდის.

აღსანიშნავია, რომ ეს 2021 წელს ინდოეთში დათვის თავდასხმის შედეგად დაღუპული პირველი ადამიანია. სატყეო მეურნეობის წარმომადგენლის თქმით, შესაძლოა, ქალი შემთხვევით მიუახლოვდა დათვის ბელებს და ამით ძუ დათვი გააცოფა.

## 15 წლის მოზარდმა დედისთვის მანქანის ყიდვა გადაწყვიტა და მილიონერი გახდა




ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის მცხოვრებმა მოზარდმა გადაწყვიტა, დედისთვის მანქანა ეყიდა და 15 წლის ასაკში მილიონერი გახდა.

კორი ნიევესმა ორცხობილების წარმოების ბიზნესი გახსნა იმისთვის, რომ დედამისს ავტობუსით აღარ ემგზავრა და საკუთარი თავისთვის მანქანის ყიდვის უფლება მიეცა. თავდაპირველად მოზარდი ცხელ შოკოლადს ყიდდა მეგობრის რესტორანში, თუმცა მალე მიხვდა, რომ მას ცხობა იზიდავდა და იდეალური ორცხობილის რეცეპტის ძებნას შეუდგა.

– ის ან მეტისმეტად მაგარი გამოდიოდა, ან მეტისმეტად რბილი. თითქმის ერთი წელი დაგვჭირდა იმისთვის, რომ ქიშმიშიანი შვრიის ნამცხვარი სრულყოფილი გამოსულიყო, – აღნიშნა ნიევესას დედა ლიზამ. საბოლოოდ დედა-შვილმა მოახერხა, შეემუშავებინა ოპტიმალური რეცეპტი და 2012 წელს, როდესაც კორი რვა წლის იყო, ორცხობილების საკუთარი წარმოება გახსნეს და დაარეგისტრირეს საკუთარი ბრენდი „მისტერ კორის ორცხობილა“.

მათი პროდუქცია მალე გახდა პოპულარული, მყიდველებს განსაკუთრებით ის იზიდავდა, რომ ინგრედიენტები ნატურალური იყო და კონსერვანტებს არ შეიცავდა. კიდევ უფრო მეტ წარმატებას დედა-შვილმა მას შემდეგ მიაღწია, რაც ტკბილეულის სახლში მიტანის სერვისი აამუშავეს.

დედა-შვილმა 100 ათასი დოლარის ინვესტიცია მიიზიდა და დიდ კორპორაციებთან თანამშრომლობა დაიწყო. კომპანიის დაფუძნებიდან შვიდი წლის შემდეგ კორის ქონება მილიონ დოლარადაა შეფასებული.

## ქალმა მდინარის ნაპირზე ტალახში უძველესი ხმალი იპოვა



ლონდონის მცხოვრებმა ქალმა მდინარე თემზის ნაპირზე ტალახში XVI საუკუნის ხმლის ნაწილი იპოვა.

მწერალი ლარა მაიკილემი განძის ძებნითაა გატაცებული. თავისი მორიგი გასეირნების დროს მდინარე თემზის ნაპირზე, ლონდონის ცენტრში, ხმლის სახელური იპოვა.

სავარაუდოდ, სპილენძით მოპირკეთებული მახვილის ხის სახელური მდინარის ფსკერზე დაახლოებით 300 წლის განმავლობაში ეგდო. განძის მაძიებელი ქალის თქმით, მისი ყურადღება სპილენძის ბრჭყვიალმა მიიპყრო, რომელიც მას ოქრო ეგონა.

– ეს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნაპოვნი ნივთია მათ შორის, რომლებიც კი ოდესმე მიპოვია, – ხაზგასმით აღნიშნა მწერალმა ქალმა.

ქალი ნაპოვნი იარაღის ფრაგმენტის ლონდონის მუზეუმის ექსპერტებისთვის გადაცემას აპირებს. ისინი უკვე გაეცნნენ ნაპოვნის ფოტოსურათს და დაადასტურეს, რომ, სავარაუდოდ, ხმალი XVI საუკუნეს განეკუთვნება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა მსოფლიოს მე-6 გუნდს აჯობა

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა ევრო 2022-ისთვის მზადების ფარგლებში სერბეთის წინააღმდეგ 2 ამხანაგური მატჩი ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ სერბეთი მსოფლიო რეიტინგში მე-6 ადგილზეა და მათთან მოგება და ფრე იმედს გვიტოვებს, რომ ევროპირველობაზეც ვიყოჩაღებთ.

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართული პირველი შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და 1:1 დასრულდა.

ანგარიში მე-15 წუთზე გაიხსნა: საქართველოს ნაკრებმა ჯარიმა სწრაფად გაათამაშა და რონინიოს პასის შედეგად ელისანდრომ გაიტანა. სტუმრებმა წონასწორობის აღდგენა და საბოლოო შედეგის დაფიქსირება 30-ე წუთზე მოახერხეს. უძლიერესი დარტყმით თორნიკე ბუკიას კარი დენის რამიჩმა აიღო.

ავთანდილ ასათიანის გუნდმა მე-2 მატჩი 4:3 მოიგო. ანგარიში მე-8 წუთზე გაიხსნა, საშუალო დისტანციიდან ძლიერი დარტყმით მეტოქის კარი ელისანდრომ აიღო. გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრები შეტევაში გააქტიურდნენ და მე-9 წუთზე სერბეთის ნაკრებმა პენალტის შესრულების უფლება მიიღო. სტეფან რაკიჩის დარტყმული ბურთი თორნიკე ბუკიამ მოიგერია. პირველი ნახევრის დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა.

მე-2 ტაიმის საწყის წუთებზე საქართველოს ნაკრებმა 3-ბურთიანი უპირატესობა მოიპოვა. 21-ე წუთზე სერბეთის ნაკრებს თალესმა გაუტანა, 22-ზე კი, შედეგიანი დარტყმა ელისანდრომ შეასრულა. ელისანდრომ 29-ე წუთზე მეტოქეს მეოთხე გოლიც გაუტანა – 4:0.

მატჩის მიწურულს სტუმრები გააქტიურდნენ და ორწუთიან მონაკვეთში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. 35-ე წუთზე რამიჩმა გაიტანა, 37-ე წუთზე კი, ტომიჩმა დუბლი შეასრულა, მაგრამ დარჩენილ დროში ქართველებმა თავი კარგად დაიცვეს და ძლიერ მეტოქეს მოუგეს.

## შედეგები

### 18 დეკემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ევერტონი ... 1:1
ლივერპული-ნიუკასლი ... 3:1
ლიდსი-არსენალი ... 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 17 | 13 | 2 | 2 | 40-9 | 41 |
| 2.ლივერპული | 17 | 12 | 4 | 1 | 48-13 | 40 |
| 3.ჩელსი | 17 | 11 | 4 | 2 | 39-12 | 37 |
| 4.არსენალი | 18 | 10 | 2 | 6 | 27-23 | 32 |
| 5.ვესტ ჰემი | 17 | 8 | 4 | 5 | 28-21 | 28 |
| 6.მანჩესტერი | 16 | 8 | 3 | 5 | 26-24 | 27 |
| 7.ტოტენჰემი | 14 | 8 | 1 | 5 | 16-17 | 25 |
| 8.ვულვზი | 17 | 7 | 3 | 7 | 13-14 | 24 |
| 9.ლესტერი | 16 | 6 | 4 | 6 | 27-27 | 22 |
| 10.ასტონ ვილა | 17 | 7 | 1 | 9 | 23-25 | 22 |
| 11.კრ.პალასი | 17 | 4 | 8 | 5 | 24-24 | 20 |
| 12.ბრენტფორდი | 16 | 5 | 5 | 6 | 21-22 | 20 |
| 13.ბრაიტონი | 16 | 4 | 8 | 4 | 14-17 | 20 |
| 14.ევერტონი | 17 | 5 | 4 | 8 | 21-29 | 19 |
| 15.საუთჰემპტონი | 17 | 3 | 8 | 6 | 16-26 | 17 |
| 16.ლიდსი | 18 | 3 | 7 | 8 | 18-36 | 16 |
| 17.უოტფორდი | 16 | 4 | 1 | 11 | 21-31 | 13 |
| 18.ბარნლი | 15 | 1 | 8 | 6 | 14-21 | 11 |
| 19.ნიუკასლი | 17 | 1 | 7 | 8 | 18-37 | 10 |
| 20.ნორვიჩი | 17 | 2 | 4 | 11 | 8-34 | 10 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მიდლსბრო-ბორნმუთი ... 1:0
ბლექბერნი-ბირმინგემი ... 4:0
ბლექპული-პიტერბრო ... 3:1
ბრისტოლი-ჰადერსფილდი ... 2:3
ნოტინგემი-ჰალი ... 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-მაინცი ... 1:0
ბოხუმი-უნიონი ... 0:1
ფიურტი-აუგსბურგი ... 0:0
ლაიფციგი-არმინია ... 0:2
ჰოფენჰაიმი-გლადბახი ... 1:1
ჰერტა-დორტმუნდი ... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 14 | 1 | 2 | 56-16 | 43 |
| 2.დორტმუნდი | 17 | 11 | 1 | 5 | 41-26 | 34 |
| 3.ლევერკუზენი | 16 | 8 | 4 | 4 | 39-26 | 28 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 17 | 8 | 4 | 5 | 35-26 | 28 |
| 5.აინტრახტი | 17 | 7 | 6 | 4 | 27-24 | 27 |
| 6.უნიონი | 17 | 7 | 6 | 4 | 23-21 | 27 |
| 7.ფრაიბურგი | 16 | 7 | 5 | 4 | 26-15 | 26 |
| 8.მაინცი | 17 | 7 | 3 | 7 | 25-17 | 24 |
| 9.ლაიფციგი | 17 | 6 | 4 | 7 | 30-22 | 22 |
| 10.კიოლნი | 16 | 5 | 7 | 4 | 26-27 | 22 |
| 11.ჰერტა | 17 | 6 | 3 | 8 | 20-35 | 21 |
| 12.ბოხუმი | 17 | 6 | 2 | 9 | 16-26 | 20 |
| 13.ვოლფსბურგი | 17 | 6 | 2 | 9 | 17-29 | 20 |
| 14.გლადბახი | 17 | 5 | 4 | 8 | 22-32 | 19 |
| 15.აუგბურგი | 17 | 4 | 6 | 7 | 17-26 | 18 |
| 16.შტუტგარტი | 16 | 4 | 5 | 7 | 22-30 | 17 |
| 17.არმინია | 17 | 3 | 7 | 7 | 14-22 | 16 |
| 18.ფიურტი | 17 | 1 | 2 | 14 | 13-49 | 5 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-დინამო ... 3:0
პადერბორნი-ჰაიდენჰაიმი ... 1:2
აუე-ნიურნბერგი ... 1:3
ჰამბურგი-შალკე ... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-ალავესი ... 2:0
სოსიედადი-ვილიარეალი ... 1:3
ბარსელონა-ელჩე ... 3:2
სევილია-ატლეტიკო ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 17 | 13 | 3 | 1 | 39-15 | 42 |
| 2.სევილია | 17 | 11 | 4 | 2 | 28-12 | 37 |
| 3.ბეტისი | 17 | 10 | 3 | 4 | 30-18 | 33 |
| 4.რაიო | 18 | 9 | 3 | 6 | 26-18 | 30 |
| 5.ატლეტიკო | 17 | 8 | 5 | 4 | 28-20 | 29 |
| 6.სოსიედადი | 18 | 8 | 5 | 5 | 20-20 | 29 |
| 7.ბარსელონა | 17 | 7 | 6 | 4 | 28-21 | 27 |
| 8.ვალენსია | 17 | 6 | 7 | 4 | 26-23 | 25 |
| 9.ესპანიოლი | 18 | 6 | 5 | 7 | 20-21 | 23 |
| 10.ვილიარეალი | 17 | 5 | 7 | 5 | 21-18 | 22 |
| 11.ოსასუნა | 17 | 5 | 7 | 5 | 17-21 | 22 |
| 12.ბილბაო | 17 | 4 | 9 | 4 | 13-12 | 21 |
| 13.სელტა | 18 | 5 | 5 | 8 | 20-22 | 20 |
| 14.მალიორკა | 17 | 4 | 8 | 5 | 16-23 | 20 |
| 15.გრანადა | 16 | 3 | 7 | 6 | 17-24 | 16 |
| 16.ელჩე | 18 | 3 | 6 | 9 | 18-27 | 15 |
| 17.ალავესი | 17 | 4 | 3 | 10 | 13-24 | 15 |
| 18.კადისი | 17 | 2 | 7 | 8 | 15-31 | 13 |
| 19.ხეტაფე | 17 | 2 | 6 | 9 | 11-20 | 12 |
| 20.ლევანტე | 17 | 0 | 8 | 9 | 16-32 | 8 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

იბიცა-ხიხონი ... 0:2
მალაგა-ლეგანესი ... 0:2
ლას პალმასი-ეიბარი ... 0:1

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-რომა ... 1:4
ბოლონია-იუვენტუსი ... 0:2
კალიარი-უდინეზე ... 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 18 | 13 | 4 | 1 | 48-15 | 43 |
| 2.მილანი | 17 | 12 | 3 | 2 | 36-19 | 39 |
| 3.ატალანტა | 18 | 11 | 4 | 3 | 38-24 | 37 |
| 4.ნაპოლი | 17 | 11 | 3 | 3 | 34-13 | 36 |
| 5.იუვენტუსი | 18 | 9 | 4 | 5 | 25-17 | 31 |
| 6.რომა | 18 | 10 | 1 | 7 | 30-20 | 31 |
| 7.ფიორენტინა | 17 | 10 | 0 | 7 | 31-22 | 30 |
| 8.ლაციო | 18 | 8 | 4 | 6 | 36-33 | 28 |
| 9.ემპოლი | 17 | 8 | 2 | 7 | 27-29 | 26 |
| 10.ბოლონია | 18 | 7 | 3 | 8 | 24-31 | 24 |
| 11.სასუოლო | 17 | 6 | 5 | 6 | 28-26 | 23 |
| 12.ვერონა | 17 | 6 | 5 | 6 | 33-30 | 23 |
| 13.ტორინო | 17 | 6 | 4 | 7 | 22-18 | 22 |
| 14.უდინეზე | 18 | 4 | 8 | 6 | 26-28 | 20 |
| 15.სამპდორია | 17 | 5 | 3 | 9 | 25-33 | 18 |
| 16.ვენეცია | 17 | 4 | 4 | 9 | 16-30 | 16 |
| 17.სპეცია | 17 | 3 | 3 | 11 | 17-38 | 12 |
| 18.ჯენოა | 18 | 1 | 7 | 10 | 19-37 | 10 |
| 19.კალიარი | 18 | 1 | 7 | 10 | 17-38 | 10 |
| 20.სალერნიტანა | 18 | 2 | 2 | 14 | 11-42 | 8 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-კრემონეზე ... 1:4
კოზენცა-პიზა ... 0:2
კომო-რეჯინა ... 1:1
კროტონე-პორდენონე ... 4:1
ფროზინონე-სპალი ... 4:0

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

სიტარდი-უტრეხტი ... 2:2
სპარტა-ვიტესი ... 2:2
ალკმაარი-ტილბურგი ... 4:1
ერაკლესი-გრონინგენი ... 4:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ეშტორილი-ფამილიკაო ... 2:2
პორტიმონენშე-აროუკა ... 1:1
ტონდელა-ფერეირა ... 0:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბეერსხოტი-ოსტენდე ... 0:2
ვარეგემი-მეხელენი ... 3:2
სენ ჟილუა-სერკლი ... 3:2
გენტი-სტ.ტრუიდენი ... 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ლივინგსტონი-როსი ... 1:1
მოზერველი-სტ.ჯონსონი ... 2:0
რეინჯერსი-დ.იუნაიტედი ... 1:0
დანდი-ჰართსი ... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-სივასი ... 1:3
ქონია-ანთალია ... 1:0
ტრაბზონი-ჰატაი ... 2:0
ალანია-ადანა ... 1:3
გალათასარაი-ბაშაქშეჰირი ... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-ატრომიტოსი ... 2:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოჰემიანსი 1905-პარდუბიცე ... 1:2
კარვინა-პლზენი ... 0:1
სლოვაცკო-იაბლონეცი ... 2:1
ჰრადეც კრალოვე-სპარტა ... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ციურიხი-სტ.გალენი ... 3:1
ლუცერნი-სერვეტი ... 0:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-სტალი ... 1:1
პოგონი-ვარტა ... 1:1
სლასკი-კრაკოვია ... 0:2

**კრაკოვიას მე-2 გოლი ოთარ კაკაბაძემ გაიტანა**

ჩენსტოხოვა-იაგელონია ... 5:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

ფერენცვაროში-ჰონვედი ... 1:0
მტკ-პაკში ... 1:4
ფეჰერვარი-მეზეკოვეშდი ... 1:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# საქართველოს ნაკრებმა ერთა ლიგაზე მეტოქეები გაარკვია



შვეიცარიის ქალაქ ნიონში უეფას ერთა ლიგის 2022-23 წლის გათამაშების წილისყრა გაიმართა. საქართველოს ნაკრები წინა სეზონის მსგავსად ც ლიგაში ასპარეზობს. წილისყრის შედეგად საქართველოს ეროვნული ნაკრები მე-4 ჯგუფში მოხვდა. ვილი სანიოლის გუნდის მეტოქეები ბულგარეთი, ჩრდილოეთ მაკედონია და გიბრალტარი იქნებიან.

უეფას ერთა ლიგის გათამაშების ახალი სეზონის პირველი და მეორე ტურის მატჩები 2022 წლის 2-8 ივნისს შედგება. მესამე-მეოთხე ტურის შეხვედრები 8-14 ივნისს გაიმართება. მეხუთე-მეექვსე ტურის თამაშები 22-27 სექტემბერს ჩატარდება.

**ვილი სანიოლი:**

– საქართველო საინტერესო ჯგუფში მოხვდა, სადაც ჩვენი მეტოქეები ჩრდილოეთ მაკედონია, ბულგარეთი და გიბრალტარი იქნებიან. მაკედონია ქართული ფეხბურთისთვის ცუდ მოგონებებს უკავშირდება და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ფეხბურთელებს რევანშის აღება სურთ. ბულგარეთთანაც ახლახან ჩავატარეთ ამხანაგური მატჩი, თუმცა ოფიციალურ თამაშს სულ სხვა კონტექსტი აქვს. გიბრალტარიც მებრძოლი გუნდია, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ. მჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია ამ ჯგუფის მოგება, თუკი შევინარჩუნებთ იმ დისციპლინას, რომელიც ბოლო ორ თვეში ვიხილეთ. მარტში ორი მნიშვნელოვანი ამხანაგური თამაში გველოდება, რაც ერთა ლიგის ძირითადი მოსამზადებელი ეტაპი იქნება.

**ბლაგოია მილევსკი, ჩრდილოეთ მაკედონიის მთავარი მწვრთნელი:**

– რთული ჯგუფია, მაგრამ დღევანდელ ფეხბურთში ადვილი მეტოქე ან წინასწარ მოპოვებული ქულები არ არსებობს. სერიოზული მატჩები გველოდება. საქართველო ის გუნდია, რომლის წინააღმდეგაც ბოლო პერიოდში ვითამაშეთ და ვიცნობთ. ბულგარეთმა ევროპის ჩემპიონ იტალიასთან ფრე ითამაშა, ეს ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს. გიბრალტარიც არ არის ის გუნდი, რომლის წინააღმდეგ დ ლიგაში ვითამაშეთ, უფრო გაიზარდა. ჩრდილოეთ მაკედონია ყველა მატჩში უმაღლეს დონეზე მომზადებული იყოს, თანამედროვე ფეხბურთი განსხვავებულ მიდგომას უბრალოდ არ გაპატიებს.

**იასენ პეტროვი, ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– ჩემი აზრით, კარგი წილისყრა იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომელიმე მეტოქეს პატივს არ ვცემთ, მსგავს პოზიციაში არც ვართ. ჩვენი მიზანი ჯგუფში პირველობაა. თითოეულ მეტოქეს პატივს ვცემთ. ოთხ თამაშს მიყოლებით ვითამაშებთ, რაც ჩვენთვის გამოწვევა იქნება, მაგრამ ყველაფრისთვის მზად ვართ. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს ფეხბურთელებს, დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებული 2022 წელი გვექნება.

**ერთა ლიგის კალენდარი ასეთია:**

**2 ივნისი:** საქართველო-გიბრალტარი; ბულგარეთი-ჩრ.მაკედონია;

**5 ივნისი:** ბულგარეთი-საქართველო; გიბრალტარი-ჩრ.მაკედონია;

**9 ივნისი:** ჩრ.მაკედონია-საქართველო; გიბრალტარი-ბულგარეთი;

**12 ივნისი:** საქართველო-ბულგარეთი; ჩრ.მაკედონია-გიბრალტარი;

**23 სექტემბერი:** საქართველო-ჩრ.მაკედონია; ბულგარეთი-გიბრალტარი;

**26 სექტემბერი:** გიბრალტარი-საქართველო; ჩრ.მაკედონია-ბულგარეთი.

# შავი ლომი რაგბი ევროპის სუპერთასის ნახევარფინალშია

**თელ-ავივ ჰით (ისრაელი)-შავი ლომი (საქართველო) 28:52**

შავმა ლომმა წლის ბოლო მატჩში თელავივ ჰითი ლამაზ სტილში, 52:28 დაამარცხა და სამით მეტი ლელოს გატანისთვის დამატებითი ბონუსიც წამოიღო.

გამარჯვებამ ჩვენს გუნდს სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი დაუბრუნა და ნახევარფინალის საგზურიც დაუბევა. ახლა ენისეისთან გადადებულმა შეხვედრამ უნდა გაარკვიოს, ვინ უმასპინძლებს ნახევარფინალში ესპანურ იბერიანზს და ვინ გაემგზავრება პორტუგალიაში ლუზიტანუშთან სათამაშოდ. აღმოსავლეთ კონფერენციის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრის წინ, შავ ლომს 20 ქულა აქვს, ენისეის – 16.

ფეთაჰ თიქვაში გამართული თამაში უხვქულიანი და უხვლელოიანი აღმოჩნდა. მასპინძლებმა 4 ლელო გაიტანეს, ქართველებმა – 7. რაც მთავარია, ქართველებს გამარჯვების ბედი ეჭვქვეშ წამითაც არ დაუყენებიათ. გუნდი კარგი იყო მოლში და მრავალფეროვანი ხელდახელ თამაშში. ასევე ეპიზოდების გარდა საიმედოდ იდგა დაცვაში, ის რამდენიმე შეცდომა კი, გაშვებულ ლელოებად დაგვიჯდა. ეს კი ოთხჯერ მოხდა.

თეთრ ფორმაში მოთამაშე შავმა ლომებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს. ლაშა ხმალაძემ, ლუკა ივანიშვილმა და აკა ტაბუცაძემ 5 წუთში 3-ჯერ გაჭრეს ხაზი. მე-7 წუთზე მეტოქე მისსავე 22-ში, მისსავე შერკინებაში დავაჯარიმეთ. ამას დერეფანი, მოლი და სანდრო მამამთავრიშვილის ლელო მოყვა. გიორგი ბაბუნაშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა. მე-17 წუთზე ტაბუცაძის კარგ თამაშს მეტოქის 22-თან აუტი მოყვა, იქიდან აგორებულმა მოლმა ბოლომდე იარა და გუნდის კაპიტანმა შალვა მამუკაშვილმა თავისი პირველი ლელო გაიტანა.

ჰიტი გააქტიურდა და პასუხის გაცემა სცადა, მაგრამ აგრესიულ დაცვას წააწყდა. ასე გაგრძელდა 23-ე წუთამდე, მერე მსაჯმა თორნიკე აქუბარდია გაასინბინა და მეტობა მასპინძლებმა გარდასახულ ლელოში ასახეს. შესვენებამდე გუნდებმა თითო-თითო სახიფათო შეტევა გაცვალეს, ბაბუნაშვილმა 2 ცდიდან 1 ჯარიმა გაიტანა და ტაიმი 17:7 დასრულდა.

განახლდა შეხვედრა და ჰითმა ხელდახელ შეტევით მე-2 ლელო გაიტანა, რასაც კვლავ ზუსტი გარდასახვა მოყვა. გარდამტეხ მომენტში ქართველმა მორაგბეებმა შეძლეს მობილიზება, მეტოქეს მისსავე ნახევარზე წნეხი დაადეს, 47-ე წუთზე დერეფნიდან მოლი დაძრეს და მამუკაშვილმა მისთვის მე-2 ლელო გაიტანა. 51-ე წუთზე ტაბუცაძემ ფეხით გადაკიდებული ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა, შეტევა სწრაფად გაიშალა, საჭირო დროს ლაშა ხმალაძემ ბურთი ფრთაზე ფეხით მოზომილად გადაკიდა, მას ტაბუცაძე დაეუფლა და ლელოში შეიჭრა.

გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და მამუკაშვილმა ჰეთ თრიკი შეასრულა და ლელოთი მორიგი მოლი დაასრულა, ბაბუნაშვილმა კი, რთული პოზიციებიდან გარდასახვა გააგრძელა. 61-ე წუთზე თენგიზ პერანიძემ გაჭრა ხაზი, ერთი ფაზის შემდეგ, რაქიდან მოკლე ფრთაზე კვლავ თავად შეუტია და იერიში ლელოთი დააგვირგვინა, ბაბუნაშვილმა გარდასახვით ანგარიში 45:14 გახადა.

ლელოების თანაფარდობა 6-2-ზე იყო და საფრთხე არსაიდან ჩანდა, მაგრამ წაკინკლავებებს 2-ჯერ ჯარიმის შემოგვიტრიალეს, რასაც ჯერ ნიკოლოზ ხატიაშვილის, მერე ნოდარ ჭეიშვილის სინბინი მოყვა. მეტობაში მოთამაშე მასპინძლებმა 2 გარდასახული ლელო გაიტანეს და ამით გამარჯვებულს საფრთხე ვერ შეუქმნეს, მაგრამ ბონუსისთვის საჭირო ლელოთა სხვაობა შეცვალეს. გაწითლებულ დროზე ეს საჭირო სხვაობა დაბრუნდა. დემე თაფლაძემ საკუთარ 22-ში ჩაჭრა ბურთი და შეუტია, კონტრშეტევა ოფლოუდის შემდეგ პერანიძემ გააგრძელა, მის ფეხით შეცურებულს ოვალს ტაბუცაძე მიყვა და დუბლით ბონუსი დაგვიბრუნა. ბაბუნაშვილმა ესეც გარდასახა – 52:28.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა დასავლეთ საქართველოში; 2. ხალხური ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორი; 3. მღრღნელი ჭია-მატლის ძველი ქართული სახელწოდება; 5. თეატრალური ცეკვის ხელოვნება; 6. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. ალუბლისგან დამზადებული ფრანგული ლიქიორი; 14. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 16. კუთხე საქართველოში; 18. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში.

**თარაზულად:** 1. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 4. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 7. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 8. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 12. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 13. ჩვილი ბავშვის საწოლი; 15. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ქართული სამეფო; 19. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 20. ძველებური ინგლისური ოქროს მონეტა; 21. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ცერცვაძე; 2. ქსენონი; 3. ქლესა; 4. თაღლითი; 5. ლექსიკა; 10. დუმპკარი; 11. სუბლიმაცია; 12. ოპტანტი; 15. ფენოლოგია; 16. ფლეგმა; 17. ასპინძა.

**თარაზულად:** 6. მეფისტოფელი; 7. მარსელო; 8. დიაფანი; 9. მადონა; 13. ტაბუ; 14. ჯულეპი; 18. ბაბანეური; 19. ესაძე; 21. თართი; 22. ვარცლი; 23. კარბონადო; 24. სპარტაკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ალბა; 2. ილორი; 3. დიორი; 5. შირაზი; 6. რაფინადი; 9. ტაიკონავტი; 10. კანდელაკი; 11. პოლიგამია; 14. წრე; 16. ორვილე; 18. სოჭი.

**თარაზულად:** 1. აპნისი; 4. ქაშანური; 7. ბორნეო; 8. რუსთავი; 12. გიენა; 13. აწყური; 15. ოდეონი; 17. ხაო; 19. ჰემოგლობინი; 20. გიუმი; 21. მიფუნე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


20 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0884

ევრო — 3.4979

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1045

100 რუსული რუბლი — 4.1827

## ამინდის პროგნოზი 20 დეკემბრისათვის




## ბრაზილიელმა რონალდუმ კრუზეირო იყიდა



ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდამ რონალდუმ კიდევ ერთი გუნდი, ამჯერად მშობლიური კრუზეირო შეიძინა, სადაც დაიწყო კიდეც მისი კარიერა.

შეგახსენებთ, რომ რონალდუ ასევე ესპანური ვალიადოლიდის მფლობელია. ბრაზილიელს კრუზეიროში დიდი გეგმები აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად გუნდი მეორე დივიზიონშია და საკმაოდ რთული პერიოდი აქვს.

## ბარსელონაში ფრენკი დე იონგს აკრიტიკებენ



ბარსელონას ფანები ფრენკი დე იონგს აკრიტიკებენ, რადგან თვლიან, რომ დე იონგი იმ თამაშს ვერ აჩვენებს, რასაც მისგან ელიან. განსაკუთრებით ეს ბოლო შეხვედრებზე შეიძლება ითქვას და ელჩესთან მატჩში ჰოლანდიელს უსტვენდნენ კიდეც.

თვითონ ფრენკმაც გააკეთა ამ საკითხზე კომენტარი და თქვა, რომ მას ესმის გულშემატკივრის და შეეცდება, რომ თამაშის ხარისხი გამოასწოროს.

## პსჟ-ს ზიდანის მიყვანა სურს



პსჟ-ს ხელმძღვანელობა მაურისიო პოჩეტინოს მუშაობით ბოლომდე კმაყოფილი არ არის და მის შემცვლელს ეძებს, რომელიც შესაძლოა ზინედინ ზიდანი აღმოჩნდეს.

ზიდანი ამჟამად არც ერთ გუნდში არ არის და მას საფრანგეთის ნაკრებს უკავშირებენ, თუმცა ჯერ ის კვლავ უმუშევარია. შესაძლოა, პსჟ-ს ზიდანმა უარი არ უთხრას, რადგან მას საფრანგეთში სურს მუშაობა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## სამრეცხაოში წასული მამაკაცი სახლში გამდიდრებული დაბრუნდა




ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ ჰემპტონის მცხოვრებმა გულმავიწყმა მამაკაცმა სამრეცხაოში ლატარიის ბილეთი იპოვა და კინაღამ ნაგავში გადააგდო. მან ბოლო მომენტში გადაწყვიტა გათამაშების შედეგების შემოწმება და აღმოაჩინა, რომ ჯეკპოტი მოხსნა.

მარიკუს ბერნსის თქმით, მან ლატარიის ბილეთი მაღაზიაში იყიდა და გადაავიწყდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როდესაც ტანსაცმელი სამრეცხაოში მიიტანა.

— მის გადაგდებას ვაპირებდი, მაგრამ გადავწყვიტე, გათამაშების შედეგები შემემოწმებინა, ვინაიდან ვიფიქრე, რომ მას შეიძლება რამდენიმე დოლარის მოგება მოეტანა, — განმარტა მამაკაცმა.

აღმოჩნდა, რომ ამერიკელმა ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 387.4 ათასი დოლარი შეადგინა. მამაკაცს ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში მოიხმარს მოგებულ თანხას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 20 დეკემბრისათვის



**ვერძი** — მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ახალი ინფორმაცია სასიამოვნოდ გაგაოცებთ. იზრუნეთ ახლობლებზე. **კურო** — მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ფხიზლად იყავით, საღად იაზროვნეთ. **ტყუპები** — იმედებითა და ახალი გეგმებით აღსავსე დღეა. მიზანს მიაღწევთ. ნათესავებთან კონფლიქტია მოსალოდნელი. **კირჩხიბი** — შესაძლოა, სამსახური ან სულაც პროფესია შეიცვალოთ. წარმატების გარანტი თქვენი პრაქტიკულობა და ინტუიციაა. **ლომი** — პრობლემების მოგვარებაში მეგობრები დაგეხმარებიან. ეს დღე ოჯახურ გარემოში გაატარეთ. **ქალწული** — შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. პარტნიორი თქვენს გაოცებას მოახერხებს. **სასწორი** — დილით ქრონიკული დაავადებები მწვავდება. საღამოს უკეთეს ფორმაში ჩადგებით და სულიერ სიმშვიდესაც მოიპოვებთ. **ღრიანკალი** — კომერციული საქმიანობა წარმატებით დაგვირგვინდება. ინიციატივას ნუ დათმობთ. კოლეგები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **მშვილდოსანი** — იმ საქმეს ხელს ნუ მოჰკიდებთ, რომელიც რისკთან არის დაკავშირებული. კარგი იქნება განმარტოება, სეირნობა სუფთა ჰაერზე. **თხის რქა** — საკმაოდ იღბლიანი დღეა საქმიანი ურთიერთობებისათვის. სამსახურში სასიკეთო ცვლილებები მოხდება. **მერწყული** — მიზნის მიღწევაში დაბრკოლებები გელით. რეალობას ნუ მოსწყდებით. დეტალები მხედველობიდან არ გამოგრჩეთ. **თევზები** — ახალი საქმის დასაწყებად შესაფერისი პერიოდია. ნებისმიერ უსიამოვნებას თავიდან ღირსეულად აირიდებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

მამაკაცი ქალს ქათინაურს ეუბნება:

— როგორი ლამაზი ტანი გაქვს.

— ჰო, ცურვაზე დავდივარ და მაგიტომ, — კეკლუცად მიუგო ქალმა.

— ხანდახან თავიც რომ ჩაყო წყალში, არ შეიძლება?

●●●

ტელეფონი რეკავს:

— ალო! თქვენი ბავშვი ჩვენთანაა!...

— გამოსასყიდს ითხოვთ, რამდენი?

— გამოსასყიდი კი არა... დროზე წაიყვანეთ ბაღიდან!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— გუშინ ვიაგრა უნიტაზში ჩამივარდა.

— მერე?

— უნიტაზს თავსახურს ვეღარ ვახურებ!

●●●

სკოლიდან სახლში დაბრუნებული ბავშვი მამას ეუბნება:

— დღეს სკოლაში ისევ ჩავამტვრიე ფანჯრის მინა.

— ვერ გავიგე სკოლა გაქვთ თუ ორანჟერეა?!

●●●

ქმარი ხანგრძლივი კამათის შემდეგ ცოლს ეუბნება:

— კარგი... დაე, ისე იყოს, როგორც შენ გსურს...

— უკვე გვიანია! გადავიფიქრე!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

— ჩემ ჯადოსნურ სარკეს ვკითხე: „ვინ არის ყველაზე ლამაზი და მომხიბვლელი?“

— მერე, რა გიპასუხა?

— უკვე მესამე დღეა, სიას მიკითხავს და მათში ჯერ საკუთარი თავი ვერ აღმოვაჩინე.

●●●

მივლინებიდან სახლში დაბრუნებული მამაკაცი ცდილობს თავისი შვილისგან გაიგოს, ცოლი ღალატობდა თუ არა და ეკითხება:

— ჩემ არ ყოფნაში უცხო ბიძია მოდიოდა?

— არა!

— კანფეტებს გაძლევდა?

— კი!

●●●

პატარა გოგონა მამას ეუბნება:

— მამიკო, რომ გავიზრდები, არ გავთხოვდები და თქვენთან ვიცხოვრებ!

— მამას ნუ ემუქრები!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ალექსანდრე ზაზარაშვილმა ამერიკულ „ნიჭიერში“ გაიმარჯვა



უკრაინული საბავშვო ხმის გამარჯვებულმა ალექსანდრე ზაზარაშვილმა ამერიკაში გამართულ „ნიჭიერშიც“ გაიმარჯვა.

ამერიკული შტატის კონექტიკუტის „ნიჭიერის“ პირველივე ტურში ალექსანდრეს ოქროს ღილაკი დაიმსახურა და პირდაპირ ფინალში აღმოჩნდა.

ამერიკული „ნიჭიერის“ ფინალში ალექსანდრე ჟიურისა და მიცემული ხმის შედეგებით პირველ ადგილზე გავიდა და „ნიჭიერის“ გამარჯვებულის ტიტულთან ერთად ფულადი პრიზიც დაიმსახურა.

**ალექსანდრე ზაზარაშვილი:**

— უბედნიერესი ვარ! გავიმარჯვე კონექტიკუტის „ნიჭიერში“, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ყველას ჩემი მხარდაჭერისათვის, ყველანაირი სირთულე გადავლახეთ, ყველანაირი გამოწვევა და კონკურენცია და მაინც შევძელით გამარჯვება. უბედნიერესი ვარ, რადგან დღევანდელმა დღემ მე მომცა მომავლის რწმენა, ეს არის პირველი კონკურსი ჩემი პაუზის შემდეგ და ამიტომ ორმაგად ვნერვიულობდი, ამას დაემატა ის, რომ ძალიან ბევრი ადამიანი მოდიოდა ჩემ საგულშემატკივროდ სხვა შტატებიდან და ძალიან მინდოდა, რომ ისინი მესახელებინა და გამარჯვებით დასრულებულიყო ეს ყველაფერი! და ასეც მოხდა, უფალი ჩვენთანაა!

## მალხაზ გელაშვილი კორონავირუსმა იმსხვერპლა



გასული საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული ტელესახე მალხაზ გელაშვილი კორონავირუსმა იმსხვერპლა.

სამწუხარო ინფორმაცია ჟურნალისტმა ირმა ხარშილაძემ გაავრცელა:

— ვაი. მალხაზ გელაშვილი. ჩემი უფროსი მეგობარი. უთბილესი. უსაყვარლესი.

**მზეო გოგოჭური:**

— რა დასანანია, ჩვენ ერთად ვმუშაობდით პირველ არხზე დიქტორებად, შორეულ 1993-94 წლებში. სასაცილო კურიოზებშიც გაეხვია ამის გამო. ახლა გამახსენდა და ალბათ როდისმე ქაღალდზე გადავიტან. ძალიან ვწუხვარ.

## ჯემალ ჭკუასელს სამების საკათედრო ტაძრიდან გამოასვენებენ



ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. მთელი მისი ცხოვრება ქართულ ხალხურ სიმღერასთან იყო დაკავშირებული. მან არაერთი თაობა აღზარდა და ქართული სიმღერის სიყვარულს აზიარა.

**გია ბაღაშვილი, მუსიკოსი:**

— აღარ გვყავს დიდი კაცი! ჩემი უახლოესი ადამიანი! ბატონი ჯემალ ჭკუასელი!

პირნათელი და ვალმოხდილი წავიდა ერისა და ქვეყნის წინაშე, მისი სათაყვანებელი ქართული სიმღერის წინაშე.

ფასდაუდებელია ბატონი ჯემალის ღვაწლი ქართული ფოლკლორის საერთაშორისო მასშტაბით აღიარების საქმეში. საოცრება იყო ის, რაც მან და მისმა უსაყვარლესმა „ერისიონმა“ მოახერხეს 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა მთელ მსოფლიოს ქართული სიმღერა და ცეკვა ეკერა პირზე; როცა პარიზში, სადაც გაიხედავდი, ყველგან შემოგანათებდა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი, ულამაზესი ქართველი გოგო-ბიჭების გრანდიოზული მასშტაბის ბილბორდები თუ პოსტერები წარწერით „ქართული ლეგენდა“.

ტრიუმფით მოვლილი ათეულობით ქვეყანა, მსოფლიოს წამყვანი საკონცერტო დარბაზების სცენები.

ბატონი ჯემალის წყალობით, მილიონობით ადამიანმა პლანეტის სხვადასხვა კუთხეში გაიცნო და შეიყვარა საქართველო. თანაც, გაიცნო საუკეთესო კუთხით, კეთილშობილი, დახვეწილი, შინაგანი ჰარმონიით სავსე, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურული ფენომენის — ქართული ფოლკლორის მეშვეობით.

ამ მასშტაბის კაცი იყო ბატონი ჯემალი.

„დავუბრუნოთ ხალხური სიმღერა სოფელს“ — ეს მისი სიტყვებია, რომლებიც უზუსტესად გამოხატავს ფოლკლორის სატკივარს და იმავდროულად ზუსტი პასუხია თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევებზე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ებრაული სამლოცველო; 2. მუქი წითელი ფერის კურკოვანი ხილი; 3. მთავარი არტერია; 4. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 5. მოჩვენებითი მამაცობა; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. აშშ-ის პირველი პრეზიდენტი; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 16. გერმანული ფარმაცევტული კომპანია; 17. ქართველი მწერლის კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 20. შავი ზღვის ძველი ბერძნული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. სამოქალაქო სამართალი; 7. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 9. კათოლიკური რელიგიური საგალობელი; 13. არომატული მატონიზირებელი უალკოჰოლო სასმელი; 14. ბრაზილიური არაყი; 18. ფრანგული ვაშლის არაყი; 19. გემების სადგომი ნავსადგურში; 21. გურულების, აჭარლების, მესხების მოკლე ჩოხა; 22. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 23. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 24. სპორტის, სათამაშო ოლიმპიური სახეობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

